

832
1949

ორგანო საქ. სოკ.-დემ. პარტიის საზღვარ-გარეთობ ბიუროსი.
Organe du Bureau à l'Etranger du parti Social-démocrate de Géorgie.

ჩვენი დროშა

“NOTRE DRAPEAU”

N° 4

გარები

ნოვემბერი

Paris.

1949

მ ი მ დ ი ნ ა რ ე ს ა კ ი თ ხ ე ბ ი.

დღეგვანდებლი საფრთხე.

დღეს კაცობრიობა იმყოფება დიდი საფრთხის წინაშე. მსოფლიო დაყოფილია ორ მოპირდაპირე ბანაკათ, ორ ბლოკათ, რომელნიც აღჭურვილია ერთი უსაშინელესი იარაღით—ატომიური ბომბით. საკმარისია ერთ კუთხეში მიზარდებს, რომ ის მოედას მთელ მსოფლიოს და დაიწყება ადამიანთა გაუგონარი ხოცვა—ელეტა. ყველა წინანდელ მემკბი იხოცებოდნენ მსოფლიო მეომარნი; ამ უკანასკნელ ოშში მშვიდობინ მცხოვრებნი დაიხოცა გაცილებით მეტი, ვინებ მეომარნი. სულ მოკლულ იქმნა 15 მილიონი ადამიანი, ამაში 6 მილიონი მეომარნი, 9 მილიონი მშვიდობიანი მცხოვრებნი. და ეს იმ დროს, როცა ატომიური ბომბა აჩად არ გავარდნილა გარდა იაპონიისა.

ცხადია, ახლი მოსალოდნელი მოი ახალი იარაღებით იქნება მიმართული პირველყოფლისა კაცობრიობის წინააღმდეგ. სამხედრო ნაწილები დაზარალდებიან გაცილებით ნაკლები, ვინებ მშვიდობიანი მცხოვრებნი, ვინებ ქალი და ბავშვები. დაბადების თქმით ერთხელ წარლენით მოისპორ კაცობრიობა, დარჩა ერთა ერთი ნიე და მისი კიდობანის მცხოვრებნი. ახლა იმავე გზაზე და იმავე შედეგებისათვის ემზადება განათლებული ნაწილი კაცობრიობისა.

რატომ ასე დაბნელდა ადამიანთა გონება. რა იწვევს ამ საშინელ ხიფახს?

მიზნით ერთი: ორი ბლოკის ურთიერთობა, მათ შორის მშვიდობიანობის შეუძლებლობა. ამის მთავარი მიზნი, ამ ნიადაგზე ურყევათ მდგრმი არის ერთი ბლოკი—მოსკოვი. ის გატაცებულია თავისი მიზნით—იყოს მსოფლიოს მეთაური და ბატონი. ეს კი შეუძლებელია მშვიდობიან საშუალებით. არც ერთ მოწინავე ერს და სახელმწიფოს არ სურა მას დაეყმონ, თავის ნაციონალურ განვითარებაზე ხელი აიღონ და ამიტომ იძულებული არიან მოემზადონ თავის დაცვისათვის. ორი ბლოკი ნიშანავს—ერთი თავის დაცვას, მეორე თავდასხმას.

საბჭოთა იმპერიაში ოშის და ზაევის საკითხს არ სწყვეტს ხალხი, დემოკრატია: მისი გადამწყვეტია მხოლოდ მეთაურობა, მცირე რიცხვი ტირანებისა, კრემლის ბატონები. მეორე ბლოკში, უვრობა-ამერიკის დარაზმულობაში გადამწყვეტია ხალხი, მის მიერ თავისუფლათ არჩეული მართველობა. როცა ორი ასეთი მოპირდაპირე წყობილება დიდხანს არსებობენ და მათ შორის საერთო ენა, საერთო ხაზი ვერ მოინახა, აშკარაა ქვეყანას მოელის კატასტროფა, კაცობრიობა უნდა გახდეს საბჭოების მსხვერპლი.

შესძლებს კი მოსკოვის მთავრობა მიაღწის თავის მიზანს, დაიმტერჩილოს კაცობრიობა? საცეკვა, მან მეტად დაიგიანა; დასავლეთი და ჩრდილო ამერიკა სწრაფი ნაბიჯეთ ემზადებიან. დასავლეთის დამარცხება თუ დაჩოქება ახლა ისე ადგილი აღარ არის. თუ კრემლი ამას შეიგნებს, თავის ოცნებებს თავს დაანებებს და მდგომარეობას რეალურად წარმოიდგენს, მაშინ მისი ხსნის ხაზ ერთია—შინგანი რეფორმებით გადაიყანოს თავისი ხალხები ევროპის პლაიტკურ ხაზე. მაგრამ ამ ევროლიუციურ მეთოდს მიიღებს კრემლი? საცეკვა. ტირანია მუდამ ინგრეოდა და დლესაც დაინგრევა სინამდვილის დაუნახობით. თავის ძლიერების განვითადებით, თავისი ილუზიების სინამდვილეთ მიღებით. ამიტომ ამ ბატონების სავალი გზა გარკვეულია: მზადება ომისათვის, მომხრობა აზიის ხალხების, გასაბჭოება რაც შეიძლება მეტი ერის და ამ მრავალ ხალხების დახმარებით დასავლეთის და ამერიკის დაცემა.

აი ამ მეთოდს ბრძოლისას უდიდესი მნიშვნელობა აქვს დასავლეთისათვის, ინდუსტრიალური ქვეყნებისათვის. ამასთ კაპიტალიზმი არსებობს მხოლოდ ერთი საშუალებით—დამზადებული საქონელის უცხოეთში გატანა და გაყიდვა. აზიის ბაზარი მისი სასიცოცხლო წყაროა. ევროპის დღვევადედი ეკონომიური კრიზისის მინენია მისი საგარეო ბაზრის შევიწროება და გადარიცხება, რაიცა ბადებს საგარეო ვაკრობის შემცირება.

აი ეს გარამება იწვევს შინგან კრიზისს, რის შედეგია დღვევადელი ევროპიული არევდარევა. კაპიტალისტები ჩამოშორდენ წინანდელ ბატონობას. მთავრობა, სახელმწიფო გახდა ეკონომიკის წინამდლილი, ეტატიზმი გაბატონდა, როთაც არცერთ კლასი არ არის კმაყოფილი, გარდა მოხელეებისა. ამ დავართნილ კაპიტალიზმს მემკვიდრე არ აღმოუჩნდა, სოციალისტები დაეცენ, ისინი აყვენ რადიკალებს, შეინახეს თავისი თეორიული მოძღვრება. თავისი პოლიტიკური მსოფლმხედველობა და გახდენ არალი მემარცხენ ბურჟუაზიისა. ასეთი მოვლენა არ არის მხოლოდ სოციალისტურ სახელმწიფოებში, რომელთა ჩრიცხვისა სამი: ნორვეგია, შვეცია, დანია. აქ ეკონომიკას მეთაურობებს სოციალისტური პარტიები და ქვეყანა ვითარდება ახალ სოციალურ გზაზე.

მოსკოვის აგნეტურა, ადგილობრივი კომუნისტური პარტიები ამ საშინო მდგომარეობას მეცერი კრიტიკით ებრძებან, მაგრამ ხალხში არ აქვთ გასავალი, მათ არ ენდობიან, მათი გავლენა სცემა. მოსკოვის ძველი მეთოდი—ააფეთქოს დასავლეთი შიგნიდან არ სრულდება, არც ასრულდება. სამა გიერთ კრემლი მუშაობს აზიაში და იქიდან ებრძების ევროპას. ეს შორეული სტრატეგია ჯერ-ჯერობით დიდ ნაყოფს არ იძლევა, ევროპა ურყევათ დგას თავის პლატფორმას ანტიკომუნისტურ მუშაობას. კრემლის გავლენა ევრო-

პის ასპარეზშე დაცემულია, ამის თვალსაჩინო შედეგია იუ-
გოსლავის გამოყოფა მოსკოვის საბრძანებლიდან და ის აწა-
რმოებს დამოუკიდებელ პოლიტიკას. კრემლის შიგნიდან
რლვევა დაწყებულია, ამავე დროს დასავლეთი ერთდება, სა-
ერთო საგარეო პოლიტიკაშე ეწყობა, საერთო ცენტრს აარ-
სებენ და მოსკოვის წინააღმდეგ ერთად დგებიან. მოსკოვის
შინგანი რლვევა, ევროპის წინააღმდეგი ერთობა—ეს ორი პრო-
ცეს ჩვენი ტრიალი დამახასიათებელია. კრემლი ემუქრება
მსოფლიოს დამორჩილებით, დამოუკიდებლათ ასებობის
გაქრობით. ხოლო ევროპა-ამერიკა მას იცავს და ემზადება
თავსდამსხმელთა წინააღმდეგ ერთი ფრონტის შესაქმნელათ.
ერთის ტროშა—ერთა დამორჩილება, მეორის—ერთა თავი-
სუფლება.

არის მხოლოდ ერთოსაკითხი, რაიცა ერთნაირათ ეხება
ორივე ბლოკს. ეს არის ომის მეთოდი.

დღევანდელი ომიანობის წესები სავსებით არღვევენ
წინანდელ წესებს, დაწყებული უძველესი ტროდან. ყოველ
დროში, ყოველ ქვეყანაში ომი წარმოებდა შეიარაღებულ
მეომართა შორის; მშვიდობიან მცხოვრებთ არც ერთი ბანა-
კი სასიკედლით არ იმუტებდა. ეს იყო ომი ადამიანური,
პუმანიური. ახლა კი, პირიქით, ომიანობა ნიშავს უმთავრე-
სათ მშვიდობიან მცხოვრებთა და მათ სახლ-კართა განაღვეუ-
რებას. დათუ კიდევ ამ მეთოდს მიემატა ატომიური ბომბები
მრავალი ქვეყანა და ერთი დედამიწიდან აღიგვება. ამ საკითხის
მოვარება, ძველი საომარი წესების ალგენი, თანამედროვე
ველური მეთოდის სამუდამო დატოვება—ეს არის მთავარი
საჭირობო საკითხი, ეს არის მსოფლიო პრობლემა. სა-
კვირელია მხოლოდ ის, რომ ამ საკითხს არავინ ეხება, არავინ
არ სვამს, არც მთავრობები, არც პარტიები, არც ეურნალ-
გაზეთები.

დღევანდელი ომი, მშასადმე, არ არის ომი ძევლი მინ-
შვენერილით. ეს არის ულეტა, ხოცვა რაც შეიძლება მეტი
ადამიანის, ნგრევა რაც შეიძლება მეტი სახლ-კარის, მეტი
სიმდიდრის, განიავება ადამიანობის, მთელი ავლა-დიდების.

დიდი სამდროვო ომიცანა არა მარტო ატომიური
ბომბის აკრძალვა, არამედ მთელი აზალი საომარი წესების
მოშლა და თუ ომი მანიც იყეთქებს, მისი ძევლ ადამიანურ
კალაპოტში ჩაყენება და მშვიდობიან მცხოვრებლების, ქა-
ლების და ბავშვების ხელშეუხებლობა.

მაშასადამე, არის გადასაჭრელი ორი ამოცანა:

ომის მოსპობა.

ომის პუმანიური წესებით წარმოება.

მიმღები უფლებები და განვითარება.

პოლიტიკური მიმოხილვა ერთ და იმავე დროს ითლია მოცანა და ძნელიც; ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ უდგება მას ავტორი.

ერთია, როცა ეს უკანასკნელი უბრალო რეგისტრატორის როლში გამოიდის; ამ შემთხვევაში იგი კმაყოფილდება მოვლენათა აღნიშვნით, მათი დაწყობით და მათ შორის მიზეზობრივი კავშირის აღდგენით.

სულ სხვა, თუ ის ამ ფართო გათელილ გზას დასტოვებს და პერსპექტივების ძიების მიზნით მომავლის დაბურულ ტყეში შეერგავს თავს.

ეს კი დიდათ «სარისკო» საქმეა; განსაკუთრებით სახი-ფათოა ეს, ჩვენს ციებ-ცელებიან ეპიქები.

თანამედროვე საერთაშორისო კითარებას ახასიათებს არა მარტო წარმოუდგენელი ტექნიკური წინსვლა; დრო და სივრცის ძველი საზღვარი საზოგადოებრივ სფეროშიდაც წაიშალა; ცხოვრების განუზომელ კერანშე სინემატოგრაფიული სისტრატიტით მოვლენა მოვლენას სცვლის, გართულება გართულებას მისდევს, ისკვენება ახალ-ახალი კვანძები და ამ საბერისწერო ფერხულში თანდათან ებმება კაცობრიობის ყველა კუთხე და მისი თვითეული ნაწილი.

ამ სურათს მხოლოდ ძლიერი ფერადები აქვთ, რომ საესებით და ნათლად წარმოიდგინოთ დლევანდელი საერთა-შორისო მღვმარეობის სიმძიმე და მისი ტრალიზმით აღსავ-სე სირთულე.

მსგავს პირობებში ძნელია განსჭვრეტა იმის, თუ რას გვიმზადებს ხვალინდელი დღე. პანდორას^{*)} კოლოფის ძირი, ბერძული მითოლოგით, იმედებით რომ არის მოგებული, ჯერ არ მოსჩანს; მანამ კი ამ კოლოფიდან მხოლოდ უბედუ-რება სცვივა და არაენინ არ იცის როდის დაიცლება იგი და იმედის სხივები საშინელ ბურუსს გაფანტავს.

მიზეზდავათ ამისა «წევნი დროშა»-ს წლიურ ანგარიშში დაუმორცხვებლათ შეგვიძლია აღნიშნოთ, რომ «მცირე შე-ნიშვნებში» ნათქვამიდან ბევრი არაფერი არა გვაქვს უკან წა-სალები.

^{*)} პანდორა ძველი ბერძნების ევაა. იუპიტერმა მას აჩუქა კოლოფი, სადაც ჩაჰქეტა ყველა უბედურება. ეპიმეთეონმა, პანდირას ქმარმა, შემთხვევით კოლოფი გააორ: აქედან იწყება ადამიანის ტანჯვა-ვაება.

დავიწყოთ ყველაზე მწვავე საკითხი—სამხედრო კონფლიქტიდან; აი რას ვსწერდით ჩენ სამხედრო კონფლიქტზე ამ ეზრნალის თებერვლის ნომერში:

«კაცობრიობა დღეს კვლავ ახალი ომის ფსიქოზშია განცეული... მხოლოდ ნუ გადავაშეტებთ, ახალი ომის საშიშროება თავის თავადისეთი ძლიერი ფაქტორია; დასავლეთის მუშათა კლასის წრეებში მოსკოვისადმი სიმპატიები იმდენათ არის ლმიანობის პროპაგანდით ჩანერგული, რომ სრულიად ბუნებრივია ვივარაულოთ «ცივი ომის» ხანგრძლივობა. დემოკრატიულ ქვეყნებში, თუ საზოგადოებრივი აზრი არ მომზადა, მართველი წრეები იარაღს ვერ მიმართავენ. მანამ კი ჩენ გვერდის საქმე ატმოსფერის ცვალებადობასთან: შემთხვევის და მისედვით, ნერვების დაჭიმვას მათი განელება შესცვლის და პირუკულმა».

ზემო ნათქვამი ჩვენთვის დღესაც ძალაში რჩება. ათი თვეის შემდეგაც ჩენ ვიტიერობთ, რომ სამხედრო კონფლიქტის საათს ჯერ არ დაუკრავს. მეტს ვიტყვით, წლებიც შესაძლოა გაიაროს მის მოლოდინში.

მართალია გასულ ინტერვალში მდგრმარეობა ძალზე გართულდა; ბალყანებზე სარაევოს აჩრდილმა კვლავ გადაიარა; ჩინეთის გაკომუნისტება, რაც სტალინს საერთაშორისო რევოლუციის წინასწარ პირობათ მიაჩნდა*), უკვე მოთავდა; ევროპის გაერთიანებას წინსცლა არ ეტყობა; მაგრამ ჩენ მაიც დაეინებით ვიტიერობთ, რომ სამხედრო კონფლიქტამდე კიდევ დიდი მანძილია; წარმოიდგინეთ, რუსეთის სამხედრო არსენალში ატმოსფერი ბომბის აღმოჩენამაც ვერ შეარყია ჩენია შესედულება. რატომ?

იმიტომ, რომ არც ერთი მოპირდაპირეთაგანი არც აბიექტიურათ და არც სუბიექტიურათ მისათვის მზად არ არის.

დავიწყოთ სტალინიდან. ეს უკანასკნელი უალრესად «პაციუისტია»; მისი «პაციუიზმი» ცივ ანგრიშზეა დაყრდნობილი; ეს მისი, ასე ვსოდვათ, ძალდატანებითი სათხოებაა (la vertu contrainte); სტალინის სტრატეგია ალყის შემორტყმის, მტრის მუზიკის შეწუხების, შეუჩერებელ ნერვიულობაზი კოლის (harcèlement) ტაქტიკზეა აგებული. მინიმალური რისკი და მაქსიმალური შედეგები, ამაშია მთელი მის პოლიტიკური ფილოსოფია. რომ ომი საბჭოთა რეჟიმისთვის სამკვდრო ხიფათს წარმოადგენს, ეს სტალინმა ჩვენზე კარგათ

*) ის. სტალინის პოლემიკა ტრაცკისთან 1919 წ. და მისიერ კომ. პარტიის მე-XV კონგრესზე მოხსენება.

იცის: ნივთიერად გაღატაკებული ქვეყანა, პოლიტიკურად დამონავებული და ხელისუფლებისადმი უსაზღვრო სიძულ-ვილით გამსჭვალული ხალხი, გამარჯვების ელემენტებათ ვერ ჩაითვლება.

გასული ომის გაკვეთილი ამ მხრივ საუკეთესო მაგალი-თია. განა ჩვენ არ ვიცით, ვინ და რამ გააპოპულიარულა, თავ-ში ძალშე არა პოპულიარული. 1941 წლის ომი? პილერის სიგირემ და მოკავშირეთა კეთილსინიდისირებამ. თუ გუშინ ამაზე დაობდენ, დღეს ეს უდავო ქეშმარიტებათ არის აღია-რებული. ამიტომ, თამამად შეგვიძლია ვიტიქროთ, რომ მო-სკოეს სათუო სამხედრო ავანტიურა არ სჭირია და მის ინი-ციატივას ის თავის თავშე არ აიღებს.

გადაეხედოთ ეხლა მოწინააღმდეგე ბანაკს. აქაც, მიუხე-დავათ მდგომარეობის სხვადასხვაობისა, ღმისადმი განწყო-ბილება უარყოფილია.

ამერიკის შეერთებული შტატები, დასავლეთის დღევან-დელი უდავო დირიქორი, თავისუფლების ქვეყანაა; ჩვენ კარ-გათ ვიცით ამ თავისუფლების საზღვარი; ვერავინ ჩვენ ვერ დაგვწამებს ბურუუზინისადმი სიმპატიებს; ნათლად გვაქვს აგრეთვე წარმოდგრილი ეკონომიური ტრესტების გავლენა, მათი პრესის სიძლიერე; მაგრამ, ვიმეორებთ, ამერიკა მაინც თავისუფალი სახელმწიფოა, ვინაიდან იქ თპოზიცია კანონს გარეშე არ არის გამოცადებული; მას თავისუფლათ შეუძ-ლია ებრძოლოს მოწინააღმდეგეს; იქნიოს (და აქვს კიდევ) თავისი პრესა; ისარგებლოს საარჩევნო ბიულეტენით, შექმ-ნის საკუთარი რეგანიზაციები და სხვა. განა ჩვენ არ ვიცით ვინ მოუტანა პრეს. ტრიუმანს უკანასკნელ არჩევნებში ვამა-რჯვება არ დიდმა მუშაოთა პროფესიონალურ კავშირმა.

ასეთ ქვეყანაში მთავრობა, მისი სამხედრო შტაბი და თვით კონგრესი არ არის საყითხში თავისუფალი; ინ-გლისურ თქმულებამ,—პარლამენტ ყოვლის შემძლეა, მას მხოლოდ ქალის კაცად გარდაქმნა არ შეუძლიაო—, უკვე დრო მოჭამა: ამ უამათ, პოტენციალურათ, ხალხის სუვერენიტეს ეკუთვნის უკანასკნელი სიტყვა; სწორედ ამაშია დემოკრატი-ული რეეიმის ძლიერი და, ზოგიერთ შემთხვევაში, მისი სუს-ტი მხარეც; ამით აიხსნება დემოკრატიის და პრევანტიულ მის შეუფლებლობაც.

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ანგლო-საქსონებთა საზოგადოე-ბრივი აზრი დღესაც, ისე, როგორც ამ წლის თავში, ღმის აუცილებლობის აზრს არ შერიცებია.

ცხადია, დრო თავისას შობა, გუშინდელი დღე დღევან-დელს არ გავს; მიმავალ წელიწადს უშედეგოთ არ ჩაუვლია;

մաշրամ, զոմերողեթ, ռլցեսաւ ճասավլետშո մռարոցքածչ ռը-
նցինած ար զամյհալա.

զարցՇց ամ ցևոյշուրու մռմենտուս «Որոց ռմուս»
եանցինուրունածչ մռմինած ցրունակուս ռլցեանցուրու մռցոմա-
րեցինա, ամբոյուս, զարցա ցրունակուս, սեց էլլապւրամին արա
սյցե. ամուս Մեցնցինածչ ացեծուրու պայլա մուսու յայանասեցուրու
ուրու լունուսնուցինանո. մարթալուս ցրունա, արլանտոյուս
էպիւրու, ցրունուրու տաճամթիրումունուս ռուցանիսալուս, սամեց-
ուրու ճամեմարեցա, ցրունակուս սամպու, սերհասեցուրուս էպիլամին-
տու, պայլելուց ց ցրունակուս զարտունանցինս, մուսու ցրունուրու-
ռաւ ուրեմն համուցնցինս դա տայգապաս մունուտ մռյիւն-
՛ւրցաց?

յրտու գրուու նուուրու գրանցու ցրունուրուս թ-նո արունո
սիցրաժա՝): «յրտագ-յրտու գուրու ցամարչպայց եցա նուլաւ ճասա-
վլետ ցրունակուս դա ուսուց սերհալունուս წյալուրուտ, ց ուցա-
սլացուս ցանցումա»»:

մուցացնու հմանցինա սենամթզուրու ար Մեցնցուրցա. Ծուրուս
ցընկցուս ամբուրեցա հցինս անցարութիւն ար Մեցուս. Ցորոյիտ.
տացուս ճուռու հցին ց ալցութիւնու դա արա յայանա հուլեցու-
ամանց հցին հցուցու ցրունցինա լուանացու; ցելա կո ցրունա Մեց-
նունուրու, հոմ ճասավլետ ցրունակուս ռլցեմու ծցցրու սեց ցամար-
չպայցաւ պէնուրա. ցանա մռսկուցնու մուսու ցամարչպայց ար ոյու
ուրալուսուս արհցցնցին, սագրանցետնու էռլուրուրու ցայուլցցինս
ճամարւուրեցա, ծցրունուս ծլուցագուս մռեսնա անգա սածյինեցունու
սամոյալայու ունու լոյցուգուգաւրա?

հոմ ց ցամարչպայցին արա, ճասավլետու ցրունա մուս ալ-
մռսավլետ նախունուս ծցու ցանինարեցին դա «հյունուս դարցա»
արլանտոյուս դա եմյուրու թյա նուցուս նաձուրեցնու համոյ-
՛ւրծուրա!

մռյուցա ճամունուս մյեսնուրեցա: մյել Ըստուրուց դա
ցանցու ճամսանցուրեցա ուս հյանա օցունիցցին; ճացունիցցին ուս մռ-
ուրու համբանումց լունուս յայս Ըստուրու էպինին դա Ըստուրուա-
նունու հոմին յանուս յմնուցն դա հոմ մատու սյունիսսյուլունա
արա, ճասավլետու ցրունա մյուցու եռլուրուտ մռսկուց Ցորուն
հայցարցուրեցուրա. զոմերողեթ, ց ցյանունցուրու ուս տրուրուս ռլցես
ճացունիցցին ուս նացունալուրու ցրունին դա յարհայցու-
ռուրեց ցրունակուս ցամտունունցին ցանայանս ար ածլոցց. ամ լունու
ցանացունու նացունուտ էռլուրուրու սյունուն ամ ուցուս ցա-
սոցցուրեցին հարանցա. ցանսայցուրեցին սերհասեցուրուս մացա-
լուրտմա. Մյուսնա մաս ըմյուցցին գրտոցց; մացրամ մյուրու ռլցես

*) Figaro, 28 ռյժումնեցրու.

ერთმა ამბავშა ამ იმედებს ფრთხები შეაკვეცა: ჩვენ სახეში გვაქვს ინგლისის დევალვაცია.

ამ უკანასკნელის ეკონომიურ-ფინანსიურ მხარეს ჩვენ აქ არ შევეხებით: ეს ექსპერტების სფეროა. შევნაშნავთ მხოლოდ, რომ, ჩვენის ცნობით, მათი დასკვნები უარყოფილია; მათი აზრით დევალვაცია ინგლისის, დოლარებში ისედაც მძიმე ვალდებულებას, დაამძიმებს; ზოგიერთ შემოსატან საქონლის, მაგალითად, კანადის ფქვილის, ფაუნდს აწევს და საერთოშორისო ხარჯებს გაზრდის. ეს სხვათა შორის.

ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია მისი პოლიტიკური გამოძახილი. ამ მხრივ სტერლინგის დევალვაციამ პირდაპირ ზურგში ლახვარი ჩასცა ეკროპის გაერთიანების იდეიას. *Statford Cripps*-ის აზეინებით დემანტების შემდეგ დევალვა-ცია მოწმენდილ ცაჟე მეხივით გავარდა. ლეონ ბლუში *«Populaire»*-ში 15 სექტემბერს მის შესაძლებლობას კატეგორიულად უარყოფდა; 18 სექტემბერს იგი უკვე ფაქტად გახდა.

როთ აიხსნება და ისეც დლევანდელ მწვავე მომენტში ინგლისის ასეთი პოზიცია?

რასაკირველია არა მისი მზადებული განზრახვებით ან, კიდევ უფრო ნაკლებ, მუშათა პარტიის ანტიეგრობიულ განწყობილებით.

განა ბევენი და მორისონი ჩერჩილზე ნაკლებ პატრიოტები არიან ეკროპის მთლიანობისა?

ჩერჩილი, ოპოზიციის დლევანდელი ლიდერი, მისი ციური ინტერესის გამოსვლის შემდეგ, ეკროპის გამთლიანების დაულალავ «ქადაგად» რომ მოგვევლინა, ისეც მთავრობის პასუხისმგებელ როლში მუშათა პარტიის პოზიციაზე დადგებოდა.

რაორმ?

იმიტომ რომ ინგლისში საგარეო პოლიტიკა ყველა პარტიისათვის იდენტურია. ინგლისელი საცხებით თავს ევროპიელათ არ თვლის. ასე იყო გუშინ და დლესაც ეს არ შეცვლილა. არ მასხვის, ვის ეკუთვნის შედარება, რომელიც ჩინებულათ გამოხატავს ეკროპაში ინგლისის პოზიციას: ინგლისი ეკროპაში დროებით შეხინულ გემს წააგავს, ყოველ წუთში გამზადებულს ზღვაში გასავალათო.

ტრაფალგარის გამარჯვებამ (1805 წ.) საბოლოოთ დაუმკვიდრა ინგლისს ზღვაზე ბატონობა; ამით მატერიკული სულისკვეთება მასში თანდათონ წაიშალა. მისი სამოქმედო ასარეზი, წყარო მისი დიდებისა და სიმდიდრის გახდა ახალ-შენები; ეკონომიურათ ის ოკეანის იქით ქვეყნებთან არის ორგანიულათ გადაბმული; მართალია სულიერი კავშირი მას არც ეკროპასთან გაუწყეტია; მაგრამ ხორციელად ის ეკროპის გარეშეა.

უკანასკნელ ღმმა ინგლისის მდგომარეობა რადიკალურათ შესცალა: გუშინდელი ბატინი ეხლა ერთერთ ამხანაგის—«ასოციეს» როლში გამოდის; დიდი ბრიტანეთი დღეს Commenwealth-ია; ეს უკანასკნელი პირმშოა ინგლისური გენიალობის: არც ფედერაცია, არც კონფედერაცია და არც პერსონალური უნია—რაღაც გაუგონარი მოვლენა სახელმწიფო ემბრიო უფლებაში; მის დაუწერელი კონსტიტუცია საერთო ინტერესებისთვის დაყრდნობილი. ეს ბაზც დღეს უკვე შეჩერებულია. კოლონიებს დაეტყო ლტოლვა ამერიკის შეერთებულ შტატებისაკენ, რაც ბზარავს ანგლო-საქსონთა ფრონტს. დანახასიათებელი Commenwealth-ის ერთი წევრის საჯარო განცხადება O.N.U.-ში: გრძნობები ინგლისთან გვაკავშირებს, ანგარიში კი ამერიკისაკენ გვერებებათ.

ასეთ პირობებშია, თუ ინგლისი ქანაობს, ორჭოფობს: თავდაცვის მიზნით ეკროპას ვერ შორდება და Commenwealth-ის შენახვასაც ცდილობს.

გვაგონდება გიოტეს ფაუსტის გორგება: «ორი სულია ჩემს ერთ გულში, ურთიერთთათვის უცხონი და განშორებას მოწყვეტებულინი»—ო.

ცხადია, რომ დღევანდელ სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლაში, როცა ცველა ძარღვების დაჭიმვაა საჭირო და ერთად დაგროვილ ენერგიის ერთი ხაზით მტრის წინააღმდეგ მიმართვა, ასეთი სულიერი გაორება დასავლეთს გამარჯვების შანსათ ვერ ჩაეთვლება.

დასავლეთის მთლიანობას აქვს შეორე, უფრო მტკიცენებული, წერტილი: გერმანია. ეკროპა შესაძლოა კიდევ უინგლისოთ წარმოვითგონოთ; მაგრამ უგერმანიოთ ეკროპის წარმოდგენა შეუძლებელია. ეს დებულება ეხლა საერთო ადგილია; ბანალური თემაა, რომელზედაც არავინ დროს არ კარგავს. არც ის იწვევს დავას, რომ ეკროპის ფრონტზე ის გაიმარჯვების, ვინც ცერმანიის ხალხს თან გაიყოლიებს.

თუ გერმანიის ირგვლივ გამართული ბრძოლა ნათლად გვინდა წარმოვიდგინოთ, ჩვენ არ უნდა ვაუშვათ მხედველობიდან, რომ მოკავშირებებს, უკანასკნელ წლების გასწვრივ, იალტის და ნაწილობრივ პოსტრამში დაშობილ შეცდომათა გამოსწორება უძღება. ბერლინის ბლოკადის მოსხან ამ შეცდომების გაღრმვება და ლოლიკური განვითარება შეაჩერა; «ცივი ომი» ს მწვავე იეროშები საპოზიციო ბრძოლას შესცვალა და მოწინააღმდეგნი ამ ჟამათ დაკავებულ პოზიციებზე მაგრდებიან. გერმანიი წინეთ ფაქტიურად ორად გაჭრილი, ეხლა უკვე თითქოს იურიდიულათაც ორ ერთეულად ჩამოყალიბდა. ბერლინი და ბონი, რო ცენტრია, რომელთა ირგვლივ გროვდება მოპირდაპირეთა ბრძოლის არსენალი—პოლიტიკური და სამხედრო.

ჩვენ სრულებით არ ვიზიარებთ იმ მიმომხილველთა (ასე-

თები ბეჭრია; ბ.ბ. არონი შრეიბერი, დიუკერეუერი, ლიპშანი და სხ.) აზრს, რომელიც დღესდღობით მოსკოვს გამარჯვებულათ სთვლიან; თუ საერთოთ გამარჯვებაზე შესაძლოა ლაპარაკი, ის მოკავშირეთა მხარეზე, ვინაიდან მოსკოვის შემოტევა გერმანიაში აშეარათ იქმა შეჩერებული; მოსკოვის მხოლოდ შეინარჩუნა იალტა-პოტსდამის პოზიციები. არც მეტი, არც ნაკლები.

სულ სხვაა მომავლის საკითხი. აյ კი მოსკოვს უფრო დაცილი ხელი უჩანს, ვიდრე მის ანტაგონისტებს; სტალინის პოლიტიკური ასესნალი უფრო მდიდარია, ვინემ დასავლეთის მეთაურთა; მის ბრძოლის მეთოდები უფრო უდგება გერმანიის ხალხის დღვევანდველ სულისკვეთებას, ვიდრე ანგლო-საქსონების პოლიტიკური სტრატეგია. ჩვენ ვამჩნევთ, რომ მოსკოვის ბრძოლის ლოგიზმები უფრო გასაგებია გერმანიის ხალხისათვის და უფრო ახლოა მის ეროვნულ სულისკვეთებასთან; კრემლის ტაქტიკა უფრო მიზანშეწონილი და მთლიანია, ვიზუალური მის მოწინააღმდეგეთა. გვინდა ჩვენ თუ არ ეს, მაგრამ ეს სინამდვილეა.

აქედან დასკვნა: გამარჯვებისათვის დასავლეთს დიდი მატერიალური უპირატესობანი აქვს; ამასთან გერმანიის ხალხის უმრავლესობაც ანტიკომუნისტურია. დასავლეთს მხოლოდ მოსკოვის იარაღით ესაჭიროება ბრძოლა. მოსკოვის მთავარი იარაღი კი პოლიტიკური მანიოვერებია. საბჭოთაზონაში უკვე «დამოუკიდებელი სახალხო რესუბლიკაა»; ბერლინიდან საოკუპაციო ჯარი გაყვანილია; განჩრახულია აღმოსავლეთ გერმანიის მთლიანდ დაცლა, ზევის ხელშეკრულების დადება; ყველა ეს ღონისძიებან გვირგვინდება სტალინის პიკადის საჯარო მიმართვით, სადაც აღმეცდილია ქლაუზევიც-ბისმარკის პორტამა: გერმანია-რუსეთის ალიანსი, ამ ორ ხალხთა შედუღებული ისტორია. მათი მისია ერთა შორის მშეიქმნან დამყარების საქმეში, მათ მიერომებში გადებული სისხლი და სხვა ამგვარი მარგალიტები. რასაცვირევლია, ყოველივე ეს მიზან-სცენაა; მაგრამ პიტლერის ავანტიურაც განა ასეთივე მიზან-სცენათ არ ჩაითვლება? ამას ხომ ხელი არ შეუშლია იმისათვის, რომ გერმანიის ხალხი მას გაყოლოდა თავდავიწყებამდე?

თვითულ ერს, დიდია ის თუ პატარა, თავის სუსტი მხარე აქვს. გერმანია გამონაკლისს არ შეადგენს. მას ჯოგური ფსიქოლოგია ახასიათებს. განსაკუთრებით საშიშია ეს თვითსება დღევანდველ მის სასოწარკვეთილების ხანაში. ამასთან გვერდით ისიც ხომ ისტორიული სინამდვილეა, რომ გერმანია მუდაშ იჩენდა რუსეთისაკენ მიღრეკილებას. ეს ვეება ქვეყანა მას თავის სასიცოცხლო სიგრცეთ ჰქონდა დასაული. ბრძესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება მარტო ლიუდნიცროტის ავანტიურათ არ ჩათვლება და არც ჯარის სარდლობის 1941 წ. რუსეთთან ომის თანხიცია ყოფილა შემთხვევითი

ამბავი; ეს ცალკე რგოლებით საუკუნოებით გაცედილ რუსეთ-გერმანიის მეგობრობის ჯაჭვისა. მართლია უკანასკნელ ომებმა ეს ჯაჭვი გაგლიჯა, მაგრამ, უკვეველია, მისი ნამსხვრევები გაფანტულია ორიენტ ერში და სწორედ ამანება რომ ასე ისტატურად თამაშობს სტალინი.

დასავლეთის ტაქტიკა, როგორც გვქონდა ნათქვამი, მეტად ფრთხილია: იგი პასუხია და, ისეც შერთალი, მოსკოვის გამოსვლების წასული გაცემითილების მიხედვით, ცხადია, ის გერმანიას წინასწარ ნდობას ვერ უცხადებს. პირლერი, მართლია, გაქრა, მაგრამ მისი საშინელი მემკვიდრეობა არ გამჭრალა და მძიმე ტვირთად აწევს გერმანია-საფრანგეთის ურთიერთობას. სიმძიმის ცენტრი სწორედ ამ მემკვიდრეობის დაქარებით ლიკვიდაციაშია. თუ ეს მოხერხდა, ევროპის მთლიანობა რეალობათ გახდება; თუ არა და, გვითქვამს და ეხლაც ვიმეორებთ, აღმოსავლეთში აგორებული ტალღები წალენავენ ევროპის თანამედროვე ცივილიზაციას.

ზემოთ ჩვენ დავინახეთ, რომ წარმავალ წელს მოსკოვმა შუაგულ ევროპაში ფეხი წინ ვერ წასდგა; ის შეაჩერეს ძველ პოზიციებზე.

კიდევ უბრო ცუდია მისი წლიური პოლიტიკური ნუსხა ბალყანეთის სექტორში: აქ მან სახელებით დაჰკარგა ისეთი მნიშვნელოვანი პუნქტი, როგორიც საძერძნეთია. ამით წყდება, დროებით ყოველ შემთხვევაში, აღმოსავლეთ-ხმელთშუა ზღვის ფრონტის ბეჭი. ისმალეთი, ამ კუთხებში დასავლეთის შძლავრი ბასირინ, მთავარ ბაზისაგან მოჭრას გადაუტჩის; ცხადია ეს გარემოება მეტად გაზრდის დასავლეთის პრესტიჟს მცირე აზიაში და, შესაძლოა, უფრო შორსაც.

მეორე მოსკოვის დიდი მარცხი ბალყანეთში, ეს იუგოსლავიის განდგომაა. ამ უკანასკნელზე ჩვენ უკვე შევაჩერეთ მკითხველების ყურადღება მისი ჩასახვის პირველ მომენტში; იმ დროს ტიტოს გამოსვლას ოჯახური პატარა სკანდალის ხასიათი ჭრობა: იუგოსლავიის ოტერატორი კომინისტორმთან კონფლიქტში მშათ იყო სტალინის არბიტრაჟს დამორჩილებოდა; დასავლეთის სასოგადოებრივი აზრი ეჭვის თვალით უყურებდა მთელ ამ ისტორიას.

აი რას ეწერდით ჩვენ ამ საგანზე ამ კურნალის თებერვლის ნომერში:

«ტიტო, ეს მოსკოვისათვის დიდი მარცხი, ორგვარი მნიშვნელობისაა. ჯერ ერთი. ეს «რკინის ფარდის» საგრძნობი გაბზარვა. მოსკოვი, აღრიატიკის გასავალს მოწყვეტილი, უკვე იტალიას არ საზღვრავს და მეორე, რაც არა ნაკლებ მნიშვნელოვანია, იუგოსლავიის პარტიის მოშინაურება, მისი ეროვნული «უკლონიზმი». ესკი გადამდები სენია. პოლონეთში მისი ბაკილები უკვე სჩანს. შესაძლოა ამან თავი იჩინოს აღმოსავლეთ-ევროპის სხვა აღილებში და რატომ მარტო

აღმოსავლეთ ევროპაში? ასეთია ცხოვრების ლოლიკა, მისი დიალექტიკა. ის ყოველივე დიქტატურაზე უფრო ძალია».

უდავოა, რომ ჩვენი პროგნოზი მართლი გამოდგა: პატარა ოჯახური ინციდენტი გადიდა, გალრმავდა და დღის საერთაშორისო მიმშვენელოვან ფაქტორათ გადაიქცა.

რა ბეჭი ეწვევა მომავალში პირადათ ტიტოს და მის რეჟიმს, ჩვენ ეს არ ვიცით. შესაძლოა იუგოსლავის მარშალი თავის გაბედულობის მსხვერპლი გახდეს და მისი რეჟიმიც მან თან გაიყოლის. ამას მომავალი დაგვანახვებს. ამ უამათ კი ჩვენ ღრმათა ვართ დაჩრდინებული, რომ ეს მოძრაობა, უმარტებულოთ «ტიტიშმათ» მონათლული, ტიტოს ბეჭის არ გაიზიარებს. რატომ?

იმიტომ, რომ მისი ბეჭი ცალკე პიროვნებასთან არ არის დაკავშირებული; მისი წარმომშობი მიწერები, საბჭოთა რუსეთის ბარონობის ქვეშ მყოფ, ერთა გულის სილრმებია გამჯდარი. 30 წლის ამ ერებში რუსულ ბოლშევიზმის ექსპერიმენტს უშედგეთ არ ჩავულია. მან ვერ წაშალა დაბყრობილ ერთა მუდმივი ლტოლვა ერთგნულ თავისუფლებისაკენ; თვით არა რუსი კომუნისტებიც ვერ გაექცენ ამ შეუდრეკელ ლტოლვის გავლენას: რუსული ბოლშევიზმი და კომუნიზმი ერთი და იგივე მცნება არ არის. ერის ცხოვრება მთიდან მოწყვეტილ წყაროს წაგავს; გზადაზა დაბრკოლების გადასალახავათ ის იცვლის მიმართულებას, კალაპოტს, ხშირად მიწის ქვეშ უჩინარია, მაგრამ მისი დენა შეუწყვეტელია, სანამ თავის წყლებს ის ზღვას არ მიაბარებს.

«ტიტიშმი» მითოისებული სახელწოდებაა, უცოდინარობით გამოწვეული. განა საქართველოში მისი დაბყრობის მეორე დღეს არ წარმოიშვა მსგავსი მოძრაობა? ხელისუფლებაშ ის «უკლინიშმათ» მონათლა; ქართული ისტორია, ვფიქრობთ, მას შულავერის გმირთა დაგვიანებულ მონანიებათ დაახასიათებს. ეს დეტალია. მთავარი მოძრაობის შინაარსია. ეროვნული კომუნიზმი ბოლშევიკურ იმპერიალიზმის შინაური წინააღმდეგობაა, რომლის განვითარება აუცილებელია; ეს კი უსათუოდ დიდ როლს ითამაშებს საბჭოთა კავშირის მომავალ ისტორიაში.

უნდა გავათავოთ: წერილი, ჩვენი ჩვეულების წინააღმდეგ, ძალწე გაგიგებელდა. იძულებული ვართ აღმოსავლეთის საერთოდ და კერძოთ შორეულ აღმოსავლეთის მდგრამარეობის დაფარება შემდეგისათვის გადავდოთ.

ესალა კი რამოდენმე სიტყვა—*pro domo suo*—იმ შეითხველთა მიმართ, რომელთაც ჩვენი წერილების შესახებ შენიშვნებით მოგემართეს.

ერთი მათთაგანი (საზღვარ გარეთიდან) გადამეტებულ პესიმიზს მეორულათ გვისაცვედურებს. საკუთარი ნაშრომის გაქრიტიკება ადვილი საქმე არ არის; ამისათვის დიდი მიუღომლობაა საჭირო, რაც მაღალი კულტურის

შაჩვენებელია. ჩვენ, ქართველებს, ეს თვისება ნაკლებათ გვა-
ხასიათებს; რატომ ამ სტრიქონების ავტორი იქნება გამო-
ნაკლისი?

მიუხედავათ ამისა მაინც ვიტყვით, რომ ასეთი შენიშვნა
არ არის დასაბუთებული.

პესიმიზმი რაში? ჩვენი ეროვნული საქმის საბოლოვო
გამარჯვებაში? ან არა და საკაცობრიო უმაღლესი იდეების
ბრწყინვალე მომავალში? ეს არასოდეს ჩვენ საეჭვოთ არ
გაგვიხდით და არც ჩვენ წერილებში ვინმე ამის მსგავსს რა-
მეს იპოვის.

მაში, რაშია საქმე? ალბათ, იმ უმძიმესს საერთაშორი-
სო მდგომარეობის აღწერაში, რასაც ჩვენი კალმით ვლა-
მობთ.

აქ კი, მეორე ჩვენი კორესპონდენტი მართალია, როცა
ის ჩვენი წერილების შავ ფერადებზე მიგვითითებს. სწორია,
რომ მომავალი პერსპექტივები ჩვენ შავათ გვეჩვენება; მაგ-
რამ განა ეს ჩვენი ბრალია? თუ განზრახ, პანიკის შესქმნე-
ლად, ჩავდივართ ამას ჩვენ? მსგავსი დაშვება, არა კეთილ-
სინიდისიერი დაფასებაა. გადახედეთ, სასოწარკვეთილებით
ალსავს, საერთაშორისო პრესას და დაინახავთ, რომ ჩვენი
«მკირე შენიშვნები» მხოლოდ მკრთალი ფოტოგრაფია ამ
პრესაში მოცემულ საშინელი სურათის.

ჩვენი ფოტოგრაფიის სიმკრთალე ჩვენ გულწრფელად
არ გვაქმაყოფილებს: ვწუხვართ, რომ ჩვენს კალამს არ ძალ-
უს შესაფერო სიძლიერით დაევანდელი სინამდვილის გა-
დაშლა, რათა თვითეულმა ქართველმა ის ნათლად წარმოი-
დგინოს და მას თვალებში შეხედოს. ნათქვამია, გაფრთხი-
ლებული მებრძოლი ორად ლირსო.

მდგომარეობის გამარტივება, დაევანდელ ქარტებილის
საერთაშორისო ჩვეულებრივ გართველებათ წარმოდგენა;
თუ ბლოკთა სამკვდრო-სასიცოცხლო შეგმის ძველებურ
კლასიკურ ომიანობაზე გადახურდავება, მაშინ როდესაც
დაევანდელი საშინელება რეალურად ემუქრება ყველა ერს
და პირველ რიგში ჩვენ ქვეყანას, ფიზიკურად მოსპობას უქა-
დის, ეს. მეტი რომ არა ვსთქვათ, ერთგვარი დაუდევრობაა.
უკეთესს შემთხვევაში მისი ახსნა მდგომარეობაში გაურჩევა-
ლობით თუ აიხსნება. ამას უნდა მოელოს ბოლო; და თუ ქარ-
თველი ადამიანი საშიშროებას ნათლად ხედავს, ის გამოსა-
ვალს გამონახავს: სალი განსჯა და პოლიტიკური ანგარიში
მისი სტრიქონია. ამას მოწმობს ჩვენი ერის ისტორია და
აწმყოც ამას ადასტურებს.

მ. შემმობენა.

დოკუმენტის გამოყენების შესახებ

სამართლებრივი დოკუმენტის გამოყენების შესახებ

ო რი მი მა რი თ უ ლ ე ბ ა.

2.

ჩემს წინა წერილში (ამავე სათაურით, «ჩ. დროშა» № 3) ალენიშვნე, რომ ორი სხვადასხვანაირი მიმართულებით ცილ-ლაბერ დიდი სახელმწიფოები ეროვნულ საკითხის მოწესრი-გებას, ერთიან ძევილ წესი—ერების ძალით დაქვერის თავის გავლენის ქვეშ და მათხე ბატონის განვითარების; მეორეა წესი დემოკრატიული—ერთა განთავისუფლების და თავისუფალ ერთა შორის მეგობრულ ურთიერთობის დამყარების კავშირების, ფე-დერაციების და სხვაგვარ ასოციაციების საშვალებით.

ჩემნთვის სიინტერესოა, რა თქმა უნდა, ეს მეორე მიმართულება; ამისთვის შევჩერდეთ ამ საკითხზე, ახლა ცოტა უფრო, კონკრეტულათ, და გავეცნოთ ამ მიმართულების საღსა-რა ნამდვილ საფუძველს.

დემოკრატიულ სახელმწიფოში პოლიტიკურ უფლებების სათავე ხალხია, ის არის სუვერენი და თავის სუვერენულ უფლებებს—კანონმდებლობას და მიმართველობას—იგი ახლო ფედერაციების თავის წარმომადგენლოთა საშვალებით; მასვე, ხელს, უჭირავს ხელში ყველა საშვალება ამ წარმომადგე-ნელთა კონტროლის, მათი არჩევის და გადაყენების.

მშრომელობის ეს პრინციპი და ეს წესი დემოკრატიას გადაქვს იმ ურთიერთობაში, როცა სახელმწიფოები თუ ერები ერთი-მეორეს, დროებით თუ სამუდამოთ, უკავშირ-ობიან. მათი მისწავება—განსაკუთრებით ეს არის მისწა-ვება. პატარა ერების, რადგან დემოკრატია არის მათი საუკე-თეხო დამცველი—სხვებთან კავშირით გაძლიერება დემოკრა-ტიის და არა შებორკვა ან შემცირება იმის უფლებების. ამი-სთვის, როგორც სახელმწიფოს შიგნით კანონმდებლობა და მშრომელობა გამომხატველი უნდა იყოს მისი მოსახლეობის სუვერენიტეტის და მისწავების, ისე ერთა კავშირში, ერების სხვადასხვა გვარ ასოციაციაში, მათი გამაერთიანებელი ცენ-ტრის მოქმედება უნდა გამოხატავდეს მის შემაღენელ ერე-ბის საერთო ნებისყოფა და მათ საერთო გავლენასა და კონ-ტროლს უნდა ემორჩილებოდეს იგი.

ამიტომ, როცა ამბობენ ხოლმე, რომ თავისუფალ სა-ხელმწიფოთა კავშირისთვის საჭირო არის, რათა თითოეულ-მა იმათგან ნაწილი თავის სუვერენულ უფლებებისა ცენტრს დაუთმოსო, ეს სრულებით იმას არ ნიშნავს, რომ იმათ დემო-კრატიულ მშრომელობის და ერის თავისუფლად არსებობის.

մոհութագ սաբյուլեյթեց շնճա աօլռն եղլո. օսթուրուլո մա-
ցալութեց օր օմաս մոխմունք, հռմ յրտա տացուսպալո կաշունի
(նուրուաս «կաշունու» մյ զեմարոծ այ սաշուգաթու յրեց օս սեց-
գանցա սանոտ ցարտունեց մուս կոնցյուրացուն, դյայրալուն
դա սեց-ալսուն շնացատ). գա շարանցու այտ կաշունու տացր-
սլույլագ արևեծունուտցուն արուս:

Ճ. հռու կաշունու նույաց յրեց օտ տացուն արուն տա-
ցուսպալո, գա մույս ու գույք յրեց լու դա սլուց յրենո; գա մուր-
հունց յրելոն դա գա մունց յրելոն, հռ տյմա շնճա, տացուսպալ
կաշունու յր նույաց մնուն; յրուն գա մույս ու գույք յրելոն դա տացու-
սլույլագ արուն մտացարու գա մասասուտց յրեց նունասիւն քուրու-
նա յրտա տացուսպալ ասուցուն նույաց մնուն.

Շնցուցարուն կոնցյուրացուն կոնսւուլուց ուն քուրու-
լու յր նունու օմաս ամունք, հռմ անցուցարուն ու գուրարու
սլուց յրելոն կանունու նալունու նույաց յրեն յրտագ նույաց
ու գա մուս կոնցյուրացուն դա հռմ յս կանունուն հեցուն
սլուց յրեն դա անուրույնց յրեց տացուն ուն յուլունց յրեն, հաւ
մատ «գույք յրա ըուլու ելուս յուլունց օտցուն ար մունց գուատ»-ը (ne sont pas délegués)-նույնու-3. այցեան լուսագա, հռմ սատա-
ց յրենուրա լու ելուս յուլունց օտցուն (յուգ յրա ըուլուն) յակա-
րուսույնց յրեց յուլունց յուլուն (յակա յուլուն) արուն դա օմատ եալունց յրեց
համու սեց մատ նույաց ան մատ յարա լու արևեծուլու մալա. մատո
յամայրուտանց յրելու յրեն ըրուրու մեռլու մատու ամոն գուրա յուլունց օտցուն
ալմաս հուլունց յրելու, մատու հիմունց յրելու.

Ճ. հռու մուզաշուր յրեց օր, պալու-պալու, տան ասիւնը
յուլունց օտցուն սարց յուլուն դա սայրու մոյմեց յրեց օտցուն գա-
սակալու մունաս յուլուն մատու սա պուրա դա սա սարց յուլուն;
տու սայմե մուտուտց վ, սայրու, մետք յուլունց օտցուն օմատ տան ասիւն-
րա շնճա յամուն.

Ճ. մուրու, հռու ամունք. հուլուն (մոմպայ հուսետու այ
մեռլու մատացուտցուն): հուսետուս մուլունց յրելու նու-
հանուն գա մույս ու գույք յրեց յուլուն դա մատուն կա մունց յուլուն
հուսետու ուն յուլունց օտցուն դա մատուն յուլուն սա յունչ մուս մոյ-
յուլուն օտցուն սա յունչ մուս մոյմեց յուլուն օտցուն; ան, հուսետու յուր նույաց յուլունց օտցուն դա մատուն յուլուն օտցուն սա յունչ մուս մոյ-
յուլուն օտցուն սա յունչ մուս մոյմեց յուլուն օտցուն; ան, հուսետու յուր նույաց յուլունց օտցուն դա մատուն յուլուն օտցուն սա յունչ մուս մոյ-
յուլուն օտցուն սա յունչ մուս մոյմեց յուլուն օտցուն; ան, հուսետու յուր նույաց յուլունց օտցուն դա մատուն յուլուն օտցուն սա յունչ մուս մոյ-
յուլուն օտցուն սա յունչ մուս մոյմեց յուլուն օտցուն; ան, հուսետու յուր նույաց յուլունց օտցուն դա մատուն յուլուն օտցուն սա յունչ մուս մոյ-
յուլուն օտցուն սա յունչ մուս մոյմեց յուլուն օտցուն; ան, հուսետու յուր նույաց յուլունց օտցուն դա մատուն յուլուն օտցուն սա յունչ մուս մոյ-
յուլուն օտցուն սա յունչ մուս մոյմեց յուլուն օտցուն; ան, հուսետու յուր նույաց յուլունց օտցուն դա մատուն յուլուն օտցուն սա յունչ մուս մոյ-
յուլուն օտցուն սա յունչ մուս մոյմեց յուլուն օտցուն; ան, հուսետու յուր նույաց յուլունց օտցուն դա մատուն յուլուն օտցուն սա յունչ մուս մոյ-

მან გონიძნალმდევე ერი ძალით უნდა შეიყვანოს «ფედერა-ციაში», ხრულიდ არა დემოკრიტულ წესით.

საჭიროება სხვა ერებსაც ბევრი აქვს, მაგრამ მათი და-კმაყოფილება ხდება—უნდა ხდებოდეს—ურთიერთ შეთანხმე-ბის ნიადაგზე და არა ერების ძალდატანებით შეყვანით «ფე-დერაციაში». საფუძველად ურთიერთ თანამშრომლობის სწო-რეთ ეს არის—ხალხთა ერთი მეორეზე დამოკიდებულება, ერთი მეორის საჭიროება; ხოლო, და ამის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი. მისწრაფება ყველა საჭიროებათა თავის საკუთარ საშვალებით დაკაყოფილებისთვის ძალიან მოლი-ბულ გზახედ აყნებს ხოლმე სახელმწიფოს...

უორესი სწერდა, რომ დემოკრატიის განვითარებას და ერების ჩამოყალიბებას სხვა ახალი პორბლებები მოყებათ: პოლიტიკურ დემოკრატიის სოციალურ დემოკრატიით შევ-სების, დამოუკიდებელ სამშობლოში ინტერნაციონალურ სულისკვეთების შეტანისა და სხვა:

«მაგრამ—ამბობდა იგი—დემოკრატია და ერი რჩება მიუკილებელ და ძირითად პირობათ ყველაფრისა, რაც მათ შემდევ იქნება მოწყობილი და მათზე უფრო მაღლა დაარსდება»—ო.

კაცობრიობის გაერთიანების განხორციელება—განაგრძობს იგი—«ყველა სამშობლოს ერთი სამშობლოსთვის და-მორჩილებით იქნებოდა

«საოცარი ცენტრიზმი, ისეთი საშინელი და სულთამხუ-«თავი იმპერიალიზმი, რომლის მზგავსს თანამედროვე ევონება სისმარმიც ვერ წარმოიდგენს. მხოლოდ დამო-«უკიდებელ ერების თავისუფალ ფედერაციით, ძალა-«ტანების უარისყოფით და თავისთავის უფლებრივ წე-«სებისთვის დამორჩილებით შესაძლებელია განხორცი-«ელდეს ერთობა კაცობრიობის. მაგრამ ეს ხომ სამშო-«ბლობის მოსპობა არ არის, არამედ მათი გაკეთილშო-«ბილებაა (გაუმჯობესება); სამშობლოები აწეული არი-«ან კაცობრიობის სიმაღლეზე ისე, რომ ისინი არ კარგა-«ვენ არც თავის დამოუკიდებლობას, არც თავის თავის-«ებურიას და არც თავისი გენიის თავისუფლებას» თ (იხ. ქვემოთ დასახელებულ წიგნის 442 და 454 გვ. გვ.).

ეს ჩვენ კარგად უნდა დავიმახსოვროთ. ერის თავისუფ-ლება ახლანდელ დროში პრინციპის ისეთივე დიდი საკით-ხია, როგორც თავისუფლება და ხელშეუხებლობა პიროვ-ნების. და აქედან გამომდინარეობს ის, რაც ჩვენ ზევით აღნი-შნეთ: ერების გაერთიანება, მათი კავშირი, მათი სხვადასხვა-ნაირი ასოციაცია დაბლიდან უნდა აშენდეს, თავისუფალ ერების თავისუფალ გადაწყვეტილებიდან; არა ზევიდან ნა-ბრძნებ ან გარედან მოვლინებულ რამე გარემოებას უნდა ემორჩილებოდეს იგი, არამედ თავისუფალ ხალხთა ნების-ყოფას.

ამიტომ განსაკუთრებულ ყურადღების ღირსია კიდევ ერთი გარემოება, სათავე რომ არის ერთა გაერთიანების მრავალგვარ ნაკლის ისე, როგორც ლიტერატურული ესაა, თუ რა განზრახვები აქვს, რა დანიშნულებას—აშენად თუ ფარულად— ემსახურება კავშირი: ემსახურება იგი ცენტრის ან კავშირის რომელიმე ნაწილის გავლენის გაძლიერებას კავშირში შემავალ დანარჩენ ერებზე და ამ უკანასკნელთა უფლებების ფაქტიურათ შემოკლებას; თუ ემსახურება იგი ცალკე ერების გაძლიერებას და მათი კეთილდღეობის გაუმჯობესებას გაერთიანების საშვალებით? სხვანაირათ რომ ვსოდვათ: ცენტრი დამოკიდებულია კავშირში შემავალ ერებზე, თუ. პირიქით, მოკავშირე ერები არიან დამოკიდებული ცენტრზე და ამიტომ მისი მორჩილი?

ეს დიდი მნიშვნელობის საკითხია. იმავე შვეიცარიაში, მაგალითად, დღემდის, როგორც მოსახლეობა საერთოდ, ისე ცალკე კანტონები (რესპუბლიკები), გააფთრებით იმრექიან თავის უფლების დაცვისთვის, როცა ფედერატიულ პარლამენტის ან საბჭოს (მთავრობას) შეამჩნევენ ტენდენციას ცენტრალურ ხელისუფლების გაძლიერებისთვის ცალკე დასტუბლიკების (კანტონების) ხარჯზე. ეს უძველესი დამოკირატია დღემდის იჭვის თვალით უცემრის ცენტრალურ ხელისუფლების გაძლიერებას, რადგან ამაში იგი ხედავს დარღვევას, როგორც ერის და ხალხის უფლებებისას, ისე დემოკრატიის იმ უმნიშვნელოვანებს პრინციპისას, რომ მეტი უფლება პერიფერიულიერიებს ეკუთვნის. ხალხს, ხალხთან უფრო დაახლოებულ ხელისუფლებას და არა ცენტრალურ მმართველობას. შვეიცარიის კონსტიტუციის თანახმად, დანიშნულება მათი კონფედერაციის (ე. ი. რესპუბლიკების კავშირის) არის, როგორც უზრუნველყოფა სამშობლოს დამოუკიდებლობისა უცხოეთიდან და დაცვა წესისა და მყუდროების სამშობლოს შიგნით, ისე მფარველობა კონფედერაციის წევრების თავისუფლების და უფლებების და განვითარება მათი საერთო კეთილდღეობის (მუხ. 2).

აქედან ცხადია, რომ ამ დამოკირატიულ რესპუბლიკათა კავშირში, შვეიცარიაში, გაერთიანება და იმის ცენტრი არ-სებობს იმისთვის, რათა ცალკე რესპუბლიკების თავისუფლება და კეთილდღეობა უკეთესად იქმნეს უზრუნველყოფილი. სულ სხვანაირ მიმართულებას, თუმცა განხორციელებულს აგრძელებულ რესპუბლიკათა კავშირის სახით, ჩვენ ეხდავთ, მაგალითად, საბჭოთა კავშირში. აյ «ცენტრია» უმთავრესი ზრუნვის და ყურადღების საგანი.

* * *

როცა 1936 წელს საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია გამოქვენდა, იმან ბევრი გააკვირა თავისი «ლიბერალიზმით» ნაციონალურ საკითხში. მართლაც, იქ არის ადგილები, ფი-

დერატიულ სახელმწიფოების კონსტიტუციებში ჩვეულებრივ რომ ვერ იპოვით (მაგ., ცალკე რესპუბლიკების უფლება კავშირიდან გასვლის, მუხ. 17; ბევრ ეროვნულ დაჯაზფებას მინიჭებული აქვს «ავტონომიურ რესპუბლიკის» და «ავტონომიურ ლექის» ხარისხი, და სხვ); მაგრამ ამავე დროს ეს კონსტიტუცია უაღრესად განვითარებულ ცენტრალიზმის პრინციპების არის დამყარებული და კონსტიტუციის რამდენიმე დებულება უფლება აღლევს ამ კავშირის ცენტრალურ მმართველობას განამტკიცის —ფორმალურათ და აღვალურათ —თავისი გავლენა კავშირში შემავალ რესპუბლიკებშე და ისინი მორჩილებაში იყოლიოს. ესაა კონსტიტუციის ის ადგილები ხალხთა კონფრონტაციების მოწესრიგებას და სახელმწიფო ბიუჯეტს რომ შეეხება. ე. ი. სწორეთ ის უფლებები, რომლის საშვალებით ხალხი დემოკრატიულ სახელმწიფოში თავის გავლენას და კონტროლს აზდენს ხელისუფლებაზე.

რა დიდი განსხვავება შეიძლება არსებობდეს ამ მხრივ სხვადასხვა უფლერატიულ სახელმწიფოთა შორის, ამას გვიჩვენებს ჩვენ შედარება საბჭოთა კავშირის და შვეიცარიის კონფედერაციის კონსტიტუციურ უფლებების და პრატკიკისა საფინანსო-საბიუჯეტო სფეროში, როგორც ორი უკიდურესობის.

ჩვენ ვიცით, რომ წყარო სახელმწიფოს არსებობის საბჭოთა რესპუბლიკებში და საბჭოთა კავშირში არის შემოსავალი სახელმწიფო ქონებიდან, წარმოებიდან და აღებ-მიცემობიდან. ამ შემოსავლის ყველა უმთავრეს დარგების განკარგულება ყველა მოკავშირ რესპუბლიკების ტერიტორიაზე ეკუთვნის საბჭოთა კავშირის ანუ ცენტრალურ საკანონმოებლო და ალმასრულებელ ორგანოებს (კონსტიტუციის მე-14 მუხ.); ხოლო რაც ამის გარედ ჩჩება, ის იმდენათ მცირებინი შვენილოვანია, რომ ხშირად მოკავშირ რესპუბლიკებს იგი არ ყოფნის მათ კონსტრუქციაში დარჩენილ პატარა საქმეებისთვის და ისინი იძულებული არიან «ცენტრს» სთხოვონ დასმარება, მუდამ ხელგაშეერთონ იყვნენ მოწყალებისთვის და ამირომ ძალიან მორჩილინება.

ამა შეხედეთ შვეიცარიას. აქ «ცენტრის» (ფლობერატიულ ხელისუფლების) საფინანსო-საბიუჯეტო წყაროები ძალიან შეზღუდულია და სწორეთ ცენტრია ხშირად იძულებული განსაკუთრებულ კრედიტებისთვის კანტონებს (ადგილობრივ რესპუბლიკებს) მიმართოს. ამიტომ აქ «ცენტრი» იმყოფება «მოკავშირე» რესპუბლიკების გავლენის ქვეშ, იგია მათ მორჩილებაში.

ჩვენ აღილი არა გვაქვს უფრო ვრცლად შევეხოთ ამ საკითხს აქ, მოვიყვანთ მხოლოდ რამდენიმე დამახასიათებელ ცნობას (ომის წინა დროისას).

საბჭოთა კავშირის ბიუჯეტით იხარჯებოდა (1938 წ.)
სულ მილიონი მანეთი:

1) კავშირის საერთო (ცენტ.) ბიუჯეტით	96.378	ანუ	73,5	პრ.
2) II მოკავშირე რესპუბლიკის	„	8.415	„	6,4 „
2) ადგილობრივ	„	26.344	„	20,1 „
სულ	131.137	„	100,0	,

შვეიცარიის ბიუჯეტით იხარჯებოდა (1936 წ.) სულ ათა-
სი შვეიც. ფრანკი:

1) კონფედერაციის (ცენტრის) ბიუჯეტით	513.658	ანუ	34,3	პრ.
2) კანტონების (რესპუბლიკიების)	„	635.392	„	42,3 „
3) კომუნების (ადგილობრივი)	„	357.149	„	23,4 „
სულ	1.506.199	„	100,0	,

აქედან ცხადია, მარტო ამ გარემოების მიხედვით—საერთო რეემისის სხვადასხვაობას ომზ თავი გავანებოთ—სად უფრო დამოუკიდებელი და თავისუფალი უნდა იყოს ხალხი თავის მოქმედებაში: საბჭოთა კავშირში, სადაც «ცენტრის» განკარგულებით იხარჯება მთელი კავშირის საჭიროების 73,5 პროც. და კულტურული რესპუბლიკის და ადგილობრივ თვითმართველობის მიერ ერთად კი მხოლოდ 26,5 პროც.; თუ შვეიცარიაში, სადაც, წინააღმდეგ, «ცენტრის» მიერ კონფედერაცია იხარჯება მთელი გასავალის მხოლოდ 34,3 პროც., ხოლო კანტონების და კომუნების მიერ 65,7 პროც.?

ამნარად, ქვეყნათ არსებობს ხალხთა კავშირები, ფედერაციები, სულ სხვადასხვანირ შინაარსის—ცენტრისის—ტურქეთის საბჭოთა კავშირიან დაწყებულო და თავისი საქმეებში სავსებით თავისუფალ ინგლისის დომინიონებით გათავებული. შეაძრუნეთ, მაგალითად, მდგომარეობა მხოლოდ ფინანსოურ-კონომიურ სფეროში და არსებობს საშვალებათა 70—80 პროც. ადგილობრივი რესპუბლიკების ხელში დატოვეთ და დაინახათ, თუ როგორ შეიცვლოს მაშინ ურთიერთობა «ცენტრისა» და «პერიფერიების» შორის, მათი ერთი მეორეზე გავლენა, თვით საბჭოთა კავშირშიც!.. საბჭოთა კავშირშიც, ალბათ, სულ სხვანირი განწყობილება იქნებოდა, იგი რომ დაბლიდან იყოს აშენებული და შედეგი იყოს მართლა თავისუფალ ერების ურთიერთ დათმობის და შეთანხმების; მაგრამ იგი ხომ ზევიდან აშენდა, ერთ-ერთ დღეს მოკავშირე რესპუბლიკის, სახელობრივ სახელმწიფოთა ფედერაციებისაგან; სათავე იმის უფლებისა არიან არა ერები და ეროვნული რესპუბლიკები, არამედ უნივერსალური კომუნისტური პარტია და იმის სახელმძღვანელო ხაზი; განსხვავებაა პრინციპიალური და არა მხოლოდ ფორმალური.

ამიტომ საბჭოთა კავშირი რომ დაირღვეს, იმის განმეორებას, თუნდაც სხვა საკაზმავით, არც ერთი დღეს იმაში შემავალი პატარა ერი არ მოისურვებს, რასაკვირველია, თუ იმას თავისუფალ გადაწყვეტილების საშვალება მიეცემა. ყველა უპირველეს ყოვლისა საკუთარ კერის მოწყობას შეუძებება და წართმეულ სუვერენულ უფლებების აღდგნას; ისინიც კი, მომხრე რომ არიან სხვებთან ერთად ფედერაციაში მოწყობის, ასე მოიქცევან იმიტომ. რომ ეს არის სწორი და ნაცადიგზა ერთა თავისუფლების და თავისუფალ ერთა მიერ ფედერაციის მოწყობის; ერის დამოუკიდებლობა და დამოუკიდებელ ერთა ურთიერთშორის კავშირ და მეგობრობა. ამ გზას უარს ვერ ჰყოფს ვერც ერთა დემოკრატი და სოციალისტი.

მაგრამ აი ასეთ შეხედულებას არ იზიარებენ რესის ემიგრაციის დემოკრატიულ (ხევებზე ზედმეტია ლაპარაკი) წრეების წარმომადგენლების, იმათში ბევრია ძველი ცნობილი საზოგადო მოღვაწე და ძველი რევოლუციონერის; ისინი ნაციონალურ საკითხში ძველ პოზიციას არ სცილდებიან. ამას მოწმობს, სხათა შორის, ამ წრეების წარმომადგენელთა მიერ დაარსებული «ხალხის თავისუფლებისგვის ბრძოლის ლიგის» პროგრამა; ყოველ შემთხვევაში, იგი არ ახდენს იმ შეზღუდვილებას, რასაც, შეიძლება, მისი დამაარსებელი ნი მოელოდენ. რაკი ჩვენ ვეხებით სხვადასხვა მიმართულებას ნაციონალურ საკითხში, ურიგო არ იქნება შევჩერდეთ ორიოდე სიტუაცით ამ «ლიგის» შეხედულებაზედაც.

• •

ის, რაც «ლიგამ» თავის სამოქმედო «პლატფორმის ძირითად დებულებებში» გამოაქვეყნა ნაციონალურ საკითხის შესახებ, მაშინაც კი არ იქნებოდა სავსებით დამაკმაყოფილებელი, «ლიგას» რომ სახეში ქვეთდეს ამ საკითხის მოწესრიგება მხოლოდ დღევანდელ «რუსეთის ფედერ. საბჭ. სოციალ. რესპუბლიკაში» (ამ რესპუბლიკაშიც შედიან ეროვნული უმცირესობანი); მაგრამ «პლატფორმში» იგულისხმება მთელი ძველი რუსეთის იმპერია ანუ მთელი დღევანდელი საბჭოთა კავშირი.

ამიტომ გასაკვირია, როგორ გამორჩათ—თუ ეს განზრას არ არის გამორჩენილი—ისეთი დიდი მნიშვნელობის ფაქტი, რომ არა ერთი და ორი ერი გამოყენ ყოფილ რუსეთის იმპერიას, ისინი დამოუკიდებელ რესპუბლიკებათ მოეწყვენ, თანახმად თავისი ხალხის გადაწყვეტილებისა, მათი დამოუკიდებლობა ცნობილი იყო გარეშე სახელმწიფოების მიერ მთელ მსოფლიოში, ზოგმა იმათვან ოც წელიწადშე მეტი იარსება დამოუკიდებლათ და მხოლოდ ძალდატანებით, სისლოიან ბრძოლის შემდეგ, საბჭოთა კავშირის მიერ იყენ დამორჩილებული. ამ უკანასკნელ ფაქტს, როგორც აქტს ძალ-

მომრეობისას, კიცხავდენ თავის დროზე რუსის დემოკრატიული და სოციალისტური წრეები.

მოსალოდნელი იყო და სრულიად ბუნებრივი, რომ «ლიგა» თავის სამოქმედო პლატფორმის პირველსაც მუხლში მოიხსენებდა შემოთ აღნიშნულ გარემოებას და განაცხადდა, როგორც აუცილებელ შედეგს კომუნისტურ ხელისუფლების დაცემისას, არა მხოლოდ «კომუნისტურ პარტიის» და საბჭოთა «შინაგან საქმეთა სამინისტროს» სრულ ლიკვიდაციის მოხდენას (აბა, ეს რა სათქმელია!), არამედ არა-რუს ერებშე მოხდენილ ძალმომრეობის ლიკვიდაციასაც ამათ მიერ თავის დამოუკიდებლობის *Ipsa facta* დაუყონებლივ აღდგნას; ხოლო დანარჩენ ერების შესახებ, ე. ი. საერთოდ ეროვნულ საკითხის მოწესრიგებისთვის, დარჩებოდა ის სახოგადო დებულებები, ახლა ყველა რომ იმეორებს (მაგრამ ყველა არ ასრულებს); პრინციპი ერთა თვითგამორკვევის და ყველა ერთს უფლების თავისუფლათ და დამუკიდებლათ არსებობისთვის.

ეს იქნებოდა აღება დემოკრატიულ და სოციალისტურ ხაზის, იმ მიმართულების, დასავლეთის დემოკრატია ან ალა რომ ადგას. მეორე მხრით, ამის აღიარება ნათელს მოპოვენდა და სიჩათლეზე გამოიტანდა რუსის დემოკრატიულ წრეების შეხედულებას ნაციონალურ საკითხის მშეიდობიანათ მოწესრიგებისთვის დღვენადელ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე და მათ პოზიციას სიმპატიას მოუხვეჭდა არა რუსის წრეებში.

ამის შაგიერ ჩვენ ვკითხულობთ იმ «პლატფორმში», რომ სრული თანასწორობის უფლება მიენიჭება ყველა «ნაციონალურ ჯგუფებს სახოგადოებრივ-პლიტიკურ და კულტურულ ცხოვრების სფეროებში»-ო (მუხ. 5). მაღლობა ღმერთს, არაად ამ უფლებას ახლა შე-კანიანებისთვისაც უარს არ ჰყოფენ!

თუ სახეში მივიღებთ იმასაც, რომ «ლიგა» გულისხმობს მთელი რუსეთისთვის ერთი საერთო დამფუძნებელ კრების მოწვევას და ამ დამფუძნებელ კრებამ უნდა გადასწყვიტოს საბოლოო დოკუმენტი წესები, —ხოლო ამ საერთო დამფუძნებელ კრებაში არა-რუსი ერები უმცირესობაში იქნებიან, —დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ არა-რუსებისათვის იგი დამუშავებელი კრება არავითარ დამოუკიდებლათ არსებობის უფლებას არ დაადგენს. არა-რუსი ერები დარჩებიან იმ «ეროვნულ უმცირესობაში», რომლისთვის «ლიგა» «ნაციონალურ-კულტურულ ავტონომიას» (არა ტერიტორიალურს) ამზადებს. მორჩა და გათავდა: ესეც ძალიან ძევსი და ძალიან დაგვიანებული ამბავია...

ამნაირად, არა-რუს ერებმა თავის ქვეყნის და თავის ხალხის დამფუძნებელ კრების მიერ თავის დროზე გამოტა-

ნილ განჩინებას დამოუკიდებლათ არსებობისთვის უნდა უძალატონ და მომავალს —ისიც არა საკუთარს, არამედ სრულიად რუსეთის იმპერიის—დამფუძნებელ კრების დადგენილებას უწინდა დაემორჩილონ.

ეს არ შეეფერება არც დემოკრატიის შეხედულებას საზოგადოთ ერის უფლებაზე და არც სამართლიან წესს ეროვნულ საკითხის გადაჭრისა მრავალ ერიან საბჭოთა კავშირში.

განცხადება, რომ საბჭოთა კავშირის მომავალ წესწყობილებისთვის «თანამედროვე რთულ გარემოცულობაში» საკუთხესო ფორმაა «დემოკრატიულ-რესპუბლიკანური ფედერაცია რუსეთის ხალხებისა»-ო, არაფერს ამბობს; არაფერს ამბობს იმ განმარტებების სინათლეზე, «ლიგა» რომ იძლევა და არც იმიტომ, რომ, როგორც დავინახეთ, არის ფედერაციაც და ფედერაციაც, მთავარია მათი შინაარსი და წესი მათი მოწყობის და არა მათი «ფორმა».

ჩვენი მიმართულება?

ჩვენს მიმართულებას ამ საკითხში სწყვეტი ჩვენი ქვეყნის და ჩვენი ხალხის ახლობელი წარსული, ეროვნული საკითხი ჩვენთვის, ქართველებისთვის, გადაწყვეტილია 1918 წლის 26 მაისის აქტით, დამტკიცებულია საქართველოს დამზუქნებელ კრების ერთსულოვან დადგენილებით და გამართულებულია იმის დემოკრატიულ რესპუბლიკათ სამწელიწადს არსებობის ფაქტით, როცა საქართველოსთან, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოსთან, ურთიერთობაში იყვენ ფაქტიურათ და იურიდიულათ ჟველა გარეშე სახელმწიფოები და მათ შორის რუსეთიც. საქართველოს დამოუკიდებლობა დაეცა, მაგრამ მას შემდეგ ყოველგან, როცა სადმე ქართველი კაცის თავისუფალი სიტყვა გაისმის, იგია სიტყვა საქართველოს ეროვნულ თავისუფლების აღდგენისთვის და დამოუკიდებლობის უფლების დაცვის. ამისთვის საქართველოში ბევრი მხევრპლიც გაიღო... მეტი თვალსაჩინო ნიშანი ერის გადაწყვეტილებისა დამოუკიდებლათ არსებობისთვის არსაც მოიპოვება.

პირუთვნელი ისტორია, ალბათ, იმასაც აღნიშნავს, რომ დამოუკიდებელი საქართველო მიისწრაფოდა სხვა ერებთან და უპირველეს ყოვლისა მეზობლებთან კავშირისკენ და 1918 წლის აპრილ-მაისის ტრალიკულ დღეებში ამიერ-კავკასიის სახელმწიფოებრივ მთლიანობის დაშლის. შემდეგაც არგაუწყვეტია მას ცდა ამ მთლიანობის შენარჩუნებისთვის თუნდაც კონომიურ სფეროში. ამის უდავო საბუთია, სხვა-

თა შორის, ის ფაქტი, რომ, თუმცა მოსალოდნელი იყო, რომ საქართველოს საკუთარი ფული უფრო მაღალი ლირებულების იქნებოდა, ვინემ მისი მეწოდლების (და ეს შემდეგ გამართლა კიდეც), საქართველო ყოველ ლონგს ხმარობდა სულ უკანასკნელ შესაძლებლობამდის, რომ საერთო ფულის ნიშანი დარჩენილიყოთ და იგი გამხდარიყოთ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების კონომიურ მთლიანობის საფუძვლათ და ამ რესპუბლიკების სოლიდარობის მაჩვენებლათ.

დამოუკიდებელი საქართველო გასაბჭოებულ რუსეთთან და გასაბჭოებულ მეწოდლებთანაც (აზერბაიჯანთან და სომხეთთან) ცდილობდა მეგობრულ ურთიერთობაში დარჩენას, რომ ეს მისი ეროვნულ თავისუფლების და ლირსების დაცვის ნიადაგზე მოხერხებულიყოთ, ამის მაჩვენებელია დამოუკიდებელ საქართველოს ხელშეკრულებანი: საერთო—საბჭოთა რუსეთთან (1920 წ. 7 მაისის) და სავაჭრო-სატრანზიტო გასაბჭოებულ აზერბაიჯანთან (1920 წლის 14 ნოემბრის).

თქმა არ უნდა, მომავალი საქართველოც მოინდოებს სხვა ერებთან კავშირს და მეგობრულ განწყობილებას; ხოლო ამის წინასწარი პირობაა საშვალება ასეთ გადაწყვეტილების თავისუფლად მიღების, ე. ი. ალგენა მისი სუვერენულ უფლებების.

საქართველოს უფლებას დამოუკიდებლათ არსებობის-თვის უარს არ ჰყოფდენ რუსის დემოკრატიულ და განსაკუთრებით სოციალისტურ წევებში, მაგრამ თავიდანვე ისნი ისეთ განმარტებას იძლეოდენ საზოგადოთ ნაციონალურ საკითხის გარასაჭრელათ ყოფილ რუსეთის იმპერიის საზღვრებში, რომ ფაქტიურად არც ერთი ერის იქედან გამოყოფა არ უნდა მომზარიყო. შეხედულებათა ასეთ უთანხმოების გამო რუსის დემოკრატებთან და სოციალისტებთან ნ. ერლადანიამ 1928 წ. გამოსცა თუ წიგნავი («ნაში რაზნებლასია» და «იტოგი»), სადაც ქართველი ერის პოზიცია და ქართველი სოციალისტების შეხედულება საზოგადოთ ეროვნულ საკითხში მოყვანილი იყო ამ საკითხის სავსებით ამომწურავ დასაბუთებით. იგი მოუწოდებდა რუსის დემოკრატებს, რათა მათ ყოველ პირობის გარეშე («მეწოდოვოროჩნია»), ეცნოთ ერების უფლება თვითგამორკვევისთვის და ეს, სხვა ზომებთან ერთად, შესაძლებლად გახდიდა საბჭოთა კავშირში შემავალ ყველა ერების დემოკრატებისთვის რუსის დემოკრატიასთან ერთად მუშაობა აწმუნში და მომავალში.

მე არ მუირია განმეორება აქ ამ დასაბუთების; ყველას შეუძლია იგი გაიხსენოს და მას გაეცნოს.

დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, 22 წელიწადი, რაც რუსის დემოკრატიის წარმომადგენლებთან ემიგრაციაში ჩენ საჯარო კამათი გვქონდა ნაციონალურ საკითხის გამო; მაგრამ ეს საკითხი იქნა დარჩა, — მე არ ვამბობ, რასავეირელია, პრაქტიკულათ გადაჭრის შესახებ, არავედ თეორეტიულადაც, — სადაც იმ დროს იმყოფებოდა; ორი შეხედულება დარჩა შეუთანმებელი *).

დრო მიდის, თაობა თაობას შესცვლის და განმათავისულებელ ბრძოლის ტაქტიკური მხარეებიც დროსა და გარემოების მიხედვით შეიცვლებიან; მაგრამ არ იცვლება თვით საკითხის მნიშვნელობა და აუცილებლობა მისი გადაჭრისა, სახელმობა: აღდგენა უფლებისა დამოუკიდებლათ არსებობისთვის. ამიტომ ჩენი პოზიცია ეროვნულ საკითხში იგივე დარჩა, რაც იყო და ძალაშივე რჩება ჩენი მაშინდელი დასაბუთებაც, გარჩა დამატებით იმ ახალ მაგალითებისა, დასაცავების დემოკრატიულ და სოციალისტურ მიმართულებამ რომ მოგვცა ამ უკანასკნელ დროს და ჩენს პოზიციას ამ საკითხში რომ აძლიერებენ (გაანთავისუფლეს ეგვიპტე, სირია, ლიბანი, პალესტინა, ინდოეთი, იჩლინდია, ისლანდია).

ერთობა, ვერც ამ მაგალითებმა იმოქმედეს რუსის დემოკრატებზე და სოციალისტებზე, რომ არ სურთ მოსკოვილენ თავის ძველ შეხედულებას, ძველიდანვე აღებულ ხაზს და მიმართულებას (ერთული პიროვნებები სულ უმნიშვნელო გამონაკლისს წარმოადგენენ). რადიკალები სოციალურ, კონსორტულ და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სუვერობში, ისინი გასაკვირ კონსერვატიზმს იჩენენ ნაციონალურ საკითხში და აქაც, ემიგრაციაში და ემიგრანტობის 30 წლის შემდეგ, ვერ გაუმეტებით დაპირება ეროვნულ საკითხის მართლა დემოკრატიულ წესით მოგვარებისთვის მომავალში. ეს ძალიან სამწუხაროა იმიტომ, რომ თუ რუსეთის ყოფილ იმპერიაში ნაციონალური საკითხი სამართლიანათ არ იქმნა გადაწყვეტილი, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ იქ დემოკრატიამ ვერ გაიმარჯვა სავსებით; და თუ რუსეთში დემო-

* მე სახეში მაქეს, როგორც ნ. უორდანიას დასახელებული წიგნაკება, აგრედვე გან. «ნინი»-ს ინიციატივით გამართული საჯარო სხდომები პარიზში, 1928 წლის იანვარში—შარტში, რომელსაც თავმჯდომარეობდნ დემოკრატიულ რუსეთის გმონიშნილი მოლვწევები ბ.მ. კერენსკი და აქცენტიევი და რომელში მონაწილეობას იღებდენ, როგორც რუსის, ისე არა-რუსის ემიგრაციის კონბილი პოლიტიკური მოლვწევები, ურნალისტები და სხვ.

კრატიამ ვერ გაიმარჯვა, პატარა ერებს არც იმის შიგნით და არც იმის შეზობლათ მოსკენება არ მოელის.

ასე, ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ თუ დღეს ძლიერი მოპარდაპირე დგას საბჭოთა რუსეთის სახით, ხვალ, შეიძლება, განახლებული რუსეთი დადგეს, თუ იმის შეთაურნი იმ გზას გაყვებან, დღეს რუსის ემიგრაციის წრე-ებში ნაციონალურ საკითხის მოწესრიგებისთვის დამაკმაყოფილებლათ რომ მიაჩინათ.

ასეთ ძალიან რთულ პირობებს და იმ საერთო პოლიტიკურ გარემოცულობას, ჩვენ რომ ვცხოვრობთ, არ შეეფერება, რა თქმა უნდა, ქადილი ჩვენის მხრივ «მე ვარ და ჩემი ნაბარი გამოწენებელი ლამისა-ო და არც იმაზე ოცნება იქნებოდა ჩვენი ხახისთვის სასარგებლო, რომ ვინმე გარედან გაგვიღებს კარებს ან ცნებას და საშვალება არა საიმედო, როგორც სხვების მაგალითებმა ნათლად დაგვანახა.

მაგრამ ეს გარემოება ვერ შესცვლის ჩვენს გეზს ნაციონალურ საკითხში, სასოწარკვეთილებისთვის არ არის ადგილი. ჩვენს მდგრადარეობაში ბევრია, არც ერთი «გასაბჭოებული» ერა საბჭოთა კავშირიდან არ განთავისუფლებულა; მაგრამ არც არცი მოსტკემს:

«ხმალსა დაცვენდე, გამიტყდა, ისარნი დამელეოდეს თ!

არავინ, იმიტომ, რომ უმთავრესი ძალა პატარა ერების — სამართლიანობა მათი მოთხოვნილების და სიყვარული თავისუფლების — ხელუხლებელი ჩრჩხა. დაცვა ერის უფლებების და ალდგენა მისი თავისუფლების არ არის მუდამ, აუცილებლად და მარტოდნენ მოწინააღმდეგეთა ფიზიკურ ძალთა განწყობილებან დამოკიდებული. ეს ასე რომ არ იყოს, ბევრი ერთ დროს დამორჩილებული ერი, დღეს რომ თავისუფალია, სამუდამოთ უნდა გამოსალმებოდა ეროვნულ თავისუფლებისთვის ზრუნვას. ამიტომ პატარა ერების ფიზიკურ სისტემები არც გაძარინებულ ერების წარმომადგენლებმა უნდა ააგონ თავისი პერსპექტივები — იმედი პატარა ერების სამუდამოთ მორჩილებაში დაკავების.

როცა ხალხი თავისუფლებისთვის იბრძვის, იგი თვითონ კარგად ერკვევა თავის მდგრადილებაში და გარემოცულ პირობებში. შეგნება და გამოცდილება, შეიძლება მისი ინტუიციას, ყოველთვის უჩვენებდა ბევრის მნახელს ქართველ ხალხს სწორ მიმართულებას თავის ყოფაქცევისთვის რთულ პირობებში — ამან შეინახა იგი მრავალ საუკუნეთა განმავლობაში. ჩვენ მის ხმას და მის შაჯისცემას უნდა ვათხოვოთ ყური.

ამნაირად:

ჩვენს იდეოლოგიაში დაჩვენს პოზიციაში ნაციონალურ საკითხში ჩვენ არაფერი გვაქვს უკან დასახელი: არც, როგორც ქართველებს და არც, როგორც ქართველ სოციალისტებს.

ჩვენი მიმართულება ნაციონალურ საკითხში ეთანხმება დასავლეთ ევროპის დაწინაურებულ დემოკრატიის მიმართულებას ამ საკითხში. და თუ წინად მხოლოდ ცალკე დაჯგუფებათა იდეოლოგია და ცალკე პირთა გენის მოუწოდებდა კაცობრიობას გაერთიანებისაკენ, ახლა კი მთელი სახელმწიფოები, ქვეყნის მმართველი და კანონმდებელი, დაქცებენ გზებს საერთაშორისო კავშირისკენ, ჩვენ ამათთან ვართ მთელი ჩვენი შეგნების და გვინდა საქართველო იყოს ამ კავშირის, კაცობრიობის, ქვევრი, როგორც ერთ თავისუფალი.

ჩვენი სიმტკიცე ჩვენს ეროვნულ მისწრაფებაში, ჩვენი პატრიოტიზმი, კი არ გვაშორებს, არამედ გვაახლოებს ჩვენ თავისუფალ და განათლებულ ერების ამ საერთო მიმართულებას, ხალხთა საერთაშორისო ოჯახს, ინტერნაციონალს—კაცობრიობის ამ იდეალს და პატარა ერების ამ უმთავრეს გარანტიას დამოუკიდებლათ ასებობისთვის. იმიტომ, რომ თანტერნაციონალი და სამშობლო ამიერიდან ერთი მეორეზე არიან გადაბმული. ერების დამოუკიდებლობა ინტერნაციონალში პოულობს უმთავრეს გარანტიას და დამოუკიდებლი ერები არიან ინტერნაციონალის უძლიერესი და უკეთილშობილესი ორ-“განებით”.

ხოლო გზა იმისკენ მიმავალი გულისხმობს სამშობლოს თავისუფლად არსებობას, მის სიყვარულს, ძლიერ პატრიოტიზმს:

«ცოტა პატრიოტიზმი გვაშორებს ინტერნაციონალს,
«ბევრ პატრიოტიზმს კი მასთან შევყართ».
ამას ამბობდა ქორესი*).

პ. პ.

*) იხ. გვ. 464 J. Jaurès «L'Armée Nouvelle», 1915.—მინდა ვისარებლო შემთხვევით და ვუთხრა ჩვენს ახალგაზდა მკითხველებს: აი წიგნი და კერძოთ ერთი თავი ამ წიგნის «Internationalisme et Patriotismes», ყველამ რომ უნდა წაიკითხოს და ბევრჯელ გადაიკითხოს: აქ არიან მოკლედ და საუკეთესოდ გაშუქებული, ფილოსოფიურათ და პოლიტიკურათ, ბუნება და მნიშვნელობა სამშობლოსი და უფლებები და დანიშნულება დემოკრატიის.

ჩართველი და ჩუსის სოციალ-დემოკრატია.

წერილი მემორა

1. ოფიციალურ წერილში ვსწერდით, ამ ორი პარტიის შეერთება მოხა 1903 წ. ლონდონის კონგრესზე.

2. ამ დრომდის ისინი მუშაბადენ ცალ-ცალკე ერთობენის დამოუკიდებლათ. ჩვენი სოციალ-დემოკრატია იშვარდა ალორძინდა საქართველოში, ხოლო რუსის დაარსდა საზღვარ-გარეთ და იქიდან გადმოიწერა რუსეთში.

3. ლონდონის ყრილობაზე მთა შორის აღმოჩნდა პოლიტიკურ საკითხებში სრული თანხმობა, ხოლო ნაციონალურ-ში და აგრძარიულში დიდი უთანხმოება.

4. კერძო თათბირზე—კომისიებში—გამოირკვა, რომ რუსის სოციალ-დემოკრატიისათვის მიუღებელია პრინციპი ერთა თავისუფლების; ხანგრძლივი დავის შემდეგ მოხდა შეთანხმება პრინციპზე ერთა თვითგამორკვევების. ერს მიეცეს უფლება დარჩეს საერთო სახელმწიფოს ფარგალში თუ გამოყოს მას.

5. აგრძელებულ დიდი დავა გამოიწვია კულტურულ უფლებათა საკითხმა და ბოლოს მიღებულ იქმნა ერის საოლქო თვითმართველობა და სწავლა-განათლება სამშობლო ენაზე.

6. დიდი განხეთქილება აღმოჩნდა აგრძარიულ საკითხებზე. რუსის სოციალ-დემოკრატია ამ სფეროში მოითხოვდა მხოლოდ ბატონ-ყმობის ნაშთების გაუქმებას. ქართველი დელეგაცია კი ამას უმატებდა გლეხთა მოძრაობის აწყობას, მუშათა კლასთან პოლიტიკურათ გადამდა და მით შექმნას ერთი ფართე ხალხური მოძრაობის პროლეტარიატის წინამდლოლობით. ხანგრძლივი დავის შემდეგ ეს ხაზი იქმნა მიღებული. თუმცა პრატიკულათ ის არასოდეს არ ასრულებულა, გარდა საქართველოისა.

7. კონგრესზე აღმოჩნდა დიდი განხეთქილება საორგანიზაციო საკითხებზე. ჩამოყალიბდა ორი მიმდინარეობა. უმრავლესობის, ლენინის მეთაურობით, უმცირესობის მარტოვის წინამდლოლობით (ბოლშევიკური და მენშევიკური). ქართველი დელეგაცია საესებით მიემრო მეორეს, რაცა საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში მუდამ ბატონობდა. ყრილობა გაიყო.

8. რუსის სოციალ-დემოკრატია შეებრძოლა ლენინის მიმართულებას ორგანიზაციული მოტივებით, ხოლო ქართველი სოციალ-დემოკრატია უმთავრესათ პოლიტიკური მი-

ზეზებით, ოიცა შემდეგ გაიზიარა რუსებმაც *). ჩვენსში პარტიაში გაბატონდა დემოკრატიული სოციალ-დემოკრატია, ხოლო რუსეთში—ლენინიშმი, დიქტატორული სოციალ-დემოკრატია.

9. პირველ დუმას რუსეთის სოციალ-დემ. ორივე ფრთა უცხადებს ბოკორს, მის არჩევნებში არ იღებს მონაწილეობას; ხოლო საქართველოს სოციალ-დემ. პარტია უარყოფს ბოკორს, ერთა მის არჩევნებში და გაყავს კველა თავისი კანდიდატები (ხუთი დეპუტატი).

10. დუმაში აღმოჩნდა მუშათა კურიიდან არჩეული მუშები, რიცხვით თორმეტი. ამათ თავი მოუყარა ქართველ სოციალ-დემოკრატებმა და დაარსეს პირველი სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია, ქართველის თავმჯდომარეობით.

11. ფრაქციის მიერ მიღებული და დუმის სხდომაზე წაკითხული დეკლარაცია იყო პირველი გამოსვლა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლეგალურათ და წამოყენება თავის პროგრამის კველა ძირითადი მოთხოვნილების **).

12. მეორე და შემდეგი დუმების არჩევნებში რუსის სოციალ დემოკრატიის ორივე ფრაქციამ მიღო მონაწილეობა. გაიყვანეს თავისი კანდიდატები. შედგა საერთო ფრაქცია ქართველების მეთაურობით.

13. დიდი რევოლუციის პერიოდში რუსის სოციალ-დემოკრატიის მუშაობას მეთაურობდენ ქართველი სოციალ-დემოკრატები, დუმის დეპუტატები.

14. ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ ქართველი სოციალ დემოკრატები დაბრუნდენ სამშობლოში და ჩადგნენ პარტიის მუშაობაზე.

15. საქართველო გამოყო რა რუსეთს, მისი მეთაური სოციალ დემოკრატიული პარტია გამოყო რუსეთისას და ალაზნია თავისი ძეველი დამოუკიდებელი პოლიტიკური და ორგანიზაციული ახევობა.

*) იხ. 1905 წ. საქართველოში დაბეჭდილი «უმრავლესობა» თუ უმცირესობა» და შემდეგ უკნევაში რუსულათ დაბეჭდილი.

**) პლეხანოვის და აქსელროდის მიმოწერის რედაქტორები: პ. ა. ბერლინი, ვ. ს. ვოიტინსკი და ბ. ი. ნიკოლაევსკი — წერენ, რომ «პირველი სახელმწიფო დუმის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის დეკლარაცია დაწერილი იყო აქსელროდის მიერ» თ. ინილეთ მიმოწერა მოსკოვში გამოცემული 1925 წ. გვერდი 217. შენიშვნა მე-7). ეს ცნობა სრულიად არ შეესაბამება სინამდვილეს. დეკლარაცია დაწერილია ფრაქციის თავმჯდომარის ნოე უორდანის მიერ.

რედაქცია.

ს ა ბ ჭ ი თ ა ს ა ხ ე ლ ე ფ ი ც მ.

საბჭოთა სახელმწიფოს შესახებ ეკროპაში ჯერეც კი არ აქვთ ნათელი წარმოდგენა. დრო კი არის რუსეთის შესახებ იყოს გამომუშავებული და მიღებული ნამდვილი წარმოდგენა, გარეშე ყოველნაირი სურვილებისა და ფანტაზიებისა.

საბჭოთა რეები არ არის უცაბედი ციდან ჩამოვარდნილი მოვლენა. მას ლრმა ფესვები აქვს რუსეთის ისტორიაში და ამჟამათ წარმოადგენს მისი შინაგანი მსვლელობის უკანასკნელ ეტაპს. ხოლო ეს ისტორია არ არის მარტო რუსის ერის კუთვნილება; ის საერთოა ბევრ სხვა ერებთან. მოვიგონოთ ეს დღეს დავიწყებული ისტორიული პროცესი.

კაცობრიობის განვითარების მსვლელობა თავიდანვე მოდის ორი ხაზით: ერთია ხაზი ელინური, რომაული და შემდეგ ეკროპიური. მისი ბაზაა კერძო საკუთრება, სხვილი და წვრილი შეძლების ადამიანების არსებობა, კერძო თაოსნობის და საქმიანობის დაკანონება.

მეორე ხაზია უფრო ძველი, ქალდეურ-ევვიპტური, ფარაონების დროისა, მეთერთმეტე საუკუნეში შემოცრილი ჩინეთში, მეთუთხმეტე საუკუნეში გაბატონებული პერუში, შემდეგ აღმოცენებული რუსეთში და იქ გაბატონებული მეცხრამეტე საუკუნემდე. ამ ხაზის დამახასიათებელი თვისებაა მისი კეონომიური საცურაველი: ეს არის კერძო საკუთრების, კერძო ინიციატივის და საქმიანობის მოსპობა და მთელი უძრავ-მოძრავი ქონების და მისი შემქნელი მცხვრებლების სახელმწიფო საკუთრებათ გამოცხადება. ამ მიზანისათვის ტიპიური მატარებელია ორი დიდი ერი: ძველი ეგვიპტი და ახალი რუსეთი.

ვ გ ვ ი პ ე ტ ი.

ეგვიპტში იყო გამეფებული თეოკრატიული მსოფლიშედველობა: დედა-მიწა შექმნა ღმერთთა ადამიანთა სარჩენათ, ხოლო მისი მოხმარა და პატრონობა ეკუთვნის მხოლოდ შექმნელის მოციქულს ქვეყნათ—ეს არის მეფე. პერიდოლის სიტყვით მეფემ დაანაწილა მთელი ეგვიპტე მცხოვრებთა შორის და თვითეულს მიუჩინა თანასწორი ზომის მიწა. განსაკუთრებითი პრივილეგიებით იყვნენ აღმურვილი მხოლოდ მე-

ფის მსახურნი—სასულიერო წოდება და მეომრები, რომელიც ჩატინას არ აღლევდნენ გადასახადს. მეფობა იყო აღიარებული ლოთის დაწესებულებათ. ამიტომ, «მიწა საესებით მეფის საკუთრებაა, ხოლო ჩალხი მისი მოსამსახურეა. სამაგიეროთ მეფე ზრუნავს კვებოს და აღზარდოს თავისი ხალხი. ფარაონია ერთად-ერთი ბატონი მიწის და აღამიანის. ეს ტარდებოდა პრაქტიკულათ მეფის მიერ დანიშნულ მოხელეების საშუალებით, ესნი განავებდენ ყანებს და ხელობებს». ხალხს უნდა ეხადა ხაზინისათვის ყველაფერი. დაწყებული იქროთი და გათავებული კვერცხებით. თვითეული მცხოვრები მუშაობდა სახელმწიფოსათვის, როგორც მეურნე და ხელოსაპი. »).

ერთისიტყვით, ფარაონთა ეგვიპტის რეემის საფუძველი იყო ერთი: სახელმწიფოს კუთხონდა მთელი უძრავ-მღრავი ქონება და მთელი მოსახლეობა, რასაც განავებს მთავრობა. ეს ოოტალიტარული წყობა ინგრევა მე 5 საუკუნითან ერთს წინ სპარსეთის შემოსევით, შემდეგ მაკედონელების, რომაელების და ბოლოს არაბების, რასაც გადაყვა როგორც სახელმწიფო, ისე ერთი. ეგვიპტე ჯერაც არ გამოსულა უცხოულისაგან.

ჩ ი ნ გ თ ი.

მე-11 საუკუნეში ჩინეთში გამოჩნდა ერთი ნასწავლი რევოლუციონერი სახელათ ვანგანგაში, რომელმაც მზნათ დაისახა მოსპობა ადამიანის ექსპლოატაციის ადამიანის მიერ. ამ მიზნის მისაღწევ ერთად-ერთ საშუალებათ აღიარა და პატრიონება მთელი ნაციონალური ქონების სახელმწიფოს მიერ და მის მიერ მოხმარა. ეს მოძღვრება ფართოთ განავითარა და კავკაციულა ავტორმა მთელ ჩინეთში, რაიცა მეფემ დაიჯერა და შეუდგა მის განხორციელებას. მან დაითხოვა ძველი მთავრობა და მიანდო ვანგანგაშს ახალი მთავრობის შედგენა. პრიგრამის ასრულება (1069 წელს).

ელიზე რეკლიუ ასე ასწერს ახალ რეფორმებს: «ისიდიტე და სილარიბი იქნა გაუქმებული, არავის არ ქონდა ნება მიწას დაპატრიონებოდა. მრეწველნი იქმნენ ჩაყენებული მთავრობის გამგეობის ქვეშ. კაპიტალისტები იყვენ ვალდებულები გადაეცათ მთავრობისათვის მთელი კაპიტალი ი ბუთი წლის განმავლობაში. მემამულები, მანდარენები აჯანყდენ, მაგრამ დამარცხდენ და გაიქცენ საზღვარ-გარეთ. ამას მოყვა პოლი-

^{*}) იხ. Nation Egyptienne, tome II, par Moret.

ტიკური რეფორმები—გაუქმება თავისუფლების, წერის, სი-
ტყვის, კრების აზრის”。 წარმომაშვა ეკონომიკური და პოლი-
ტიკური დესპოტია. ცოტა ხანში მთელი ხალხი გახდა უკმა-
ყოფილო, დაიწყო ბრძოლა. 15 წლის შემდეგ მეფე გარდაი-
ცვალა, ხოლო მისმა მემკენილებები გააუქმდა ახალი წყობილება
და ალადგინა ძველი ”).

პ ე რ ტ.

აქ გაბატონდა საესტბით ეგვიპტური ეკონომიკა. მეფე
იყო მთელი მიწის მესაკუთრე და ყოფდა ორ ნაწილათ: ერთი
ნაწილი ეძღვოდა ხალხს და ნაწილდებოდა ოჯახთა შორის
სიმართლის მიხედვით. გადანაწილება ხდებოდა ყოველ წე-
ლიწადს; მეორე ნაწილი ჩრდილი მეფეს, ხუცებს და მაღალ
მოხელეებს. მიწის დამუშავება ხდებოდა მთავრობის კონტ-
რლიით და ხელმძღვანელობით. მშრომელთა თვითოული კა-
ტეგორია ლეგულობდა ბრძანებას მთავრობისაგან როდის
რამდენი მიწა აამუშაონ კალექტიურათ. ასეთივე წესს ემო-
რჩილებოდა მრეწველობის დარგი. პერუს მცხოვრებთ არა-
ვითარი საკუთრების უფლება არ ჭრდათ არც მიწაზე, არც
მის ნაყოფზე. მთელი სამეცნიერო და სამრეწველო შემოსავა-
ლი გროვდებოდა საწყობებში და აქედან ეძღვოდა ხალხს,
მაღალ მოხელეთ და ჯარს, დანარჩენი—ხაზინას. საწყობების
გამგენი იყვნენ მთავრობის მოხელეენი ”).

აი ეს კოლექტიურ-დესპოტიური წყობა არსებობდა პე-
რუში რამდენიმე საუკუნე. ის დააგრია მე-16 საუკუნეში ის-
პანიაშ მოით და დაიკურო თვით სახელმწიფოც.

რ ე ხ ე რ ტ.

რუსეთის კველა ისტორიკოსი ერთი აზრის არიან ძევლ
რუსეთშე. არავითარი განსხვავება მეფეთა რეჟიმის დაფასე-
ბაში მათ შორის არ არის ””). ასევეა უცხოელი ისტორიკოსე-
ბიც. აი რას სწერს ერთი მათგანი: «რუსეთი იყო მუდამ ის,
რასაც დღეს უწოდებთ ტოტალიტარულ სახელმწიფოს—ერ-
თი ხალხი, ერთი საოშმუნოება, ერთი მეფე. მეფე არის მესა-
კუთრე მიწების და ადამიანების, უმაღლესი მოსამართლე,
ყველა გადასახადების ამკრები. მაღალი წოდება—ბოიარე-

”) იხ. E. Reclu: l'Empire du Milieu. M. Heu: L'Empire Chinois.

”) იხ. L. Bouelin: Les Incas du Pérou.

“) იხ. შრომები კლიუჩევსკის, ხოლოვიოვის, პოკროც-
კის, სემიონვის, ტუგან-ბარანვისკის, პლეხანვის, პლა-
ტონვის დასხვ.

ბი, მაღალი სამღვდელოება და მოხელენი ნელ-ნელა ებმიან თვითონვე მეფის უღელში... ასე რომ მეფე არის მესაკუთრე მიწების და მცხოვრებლების»*).

ყველა უცხო და რუს ისტორიკოსთა გამოკვლევით რუსეთი იყო თეოკრატიული სახელმწიფო მნიშვნელობისა, მისი მეფენი აღჭურვილნი ყველა უფლებით მსგავსათ ფარაონებისა. პეტრე დიდმა მოინდომა ამ მდგომარეობის შეცვლა, შემოიღო რეფორმები, მაგრამ მიზანს კერძოდ მიაღწია. პროფესის პლატონონვით თავის შრომაში ასკვნის: «პეტრეს დროსაც სახელმწიფო უცხორდა ყველა წოდებას ისე როგორც წინეთ; ის განსაზღვრავდა მათ ცხოვრებას დავალებებით და არა უფლებით. თვითეული პიროვნება, თვითეული ჯგუფი პიროვნებათა ცხოვრობდა არა თავისთვის, არამედ სახელმწიფოსათვის. საქრონო საქმისათვის. ისინი იყვნენ ვალდებულნი თავის-თავი და თავისი ქონება მისცენ სახელმწიფოს და დარჩენ მისი მორჩილნი. პეტრეს დროს ეს წესი კიდევ უფრო მკაცრი შეიქმნა, ვინემ იყო წინეთი**».

ბრძოლა მეფეს და არისტოკრატიას შორის იყო ყოველგან, მთელ ეკროპაში. მაგრამ ის ვერსად ვერ დამთავრდა ისე-თი მკაცრი გამარტვებით მეფის, როგორც რუსეთში. ამის მიზნებია ერთი: დასავლეთში მეფეს და დანარჩენ მცხოვრებთა შორის იდგა ახალი კლასი მოქალაქეებისა—ბურჟუაზია, რომელიც ებრძოდა ორივე უკიდურესობას. მის ხელში იყო ქალაქები, წოდებული კომუნებათ და მისდევდა თავისი საკუთარ კონომიურ ხასს—საკუთრების დაცვას, ვაჭრობა—მრეწველობის თავისუფლებას. ასეთი კლასი, ასეთი რეგულიატორი რუსეთში სრულიად არ იყო. ერთათერთი ნოვგორძი და პსკოვი წარმოადგენდა დასავლეთის განმეორებას, მოქალაქეთა კომუნებს, მაგრამ აღრინინებულ მოსკოვის სამეფომ მოსპონირდა ისინი და შემოირთა.

ევროპაში თვითეული ერი იყო დაყოფილი მრავალ ნაწილებათ, თავ-თავისი უფლება-მოვალეობით: ბურჟუაზია, ფეოდალები, მეფე და მისი ამაღლა, გლეხები თავისუფალი და არა-თავისუფალი, სასულიერო წოდება. კერძო ერთმა ძალამ ესენი ვერ შეაერთა, ვერ დაიმორჩილა და ვერ შექმნა ერთი ტოტალიტარული სახელმწიფო. რეფორმები, რევოლიუციები ერთი-მეორეს მოსდევენ.

რუსეთში ამის მსგავსი მოვლენა სრულიად არ ხდებოდა. აქ ფეოდალური წყობა თავიდანვე მოსპონ მეფემ და მის ალა-

*) იბ. C. Werter: Histoire de Russie 1946.

**) იბ. პროფ. პლატონოვ: «სოკრაშჩენიი კურს რუსსკოი ისტორიი» გვ. 258—59.

გას შექმნა აწნაურობა, წოდებული პომეშჩიკებათ. ეს გარდა-
ქმნა წარმოებდა ერთი და იმავე წესით: სასახლის მსახურთ,
ერთგულ ფენებს ეძლეოდა სახელმწიფო მიწები. წოდებული
«პომესტი»-თ, არა საკუთრებათ, არამედ. მოსახმარათ, ჯამ-
გირის მაგიერ, როგორც გასამრჯელო. ეს მამული ჩამოერთ-
მეოდა მის სიცოცხლეში ანდა უეჭველათ მის გარდაცვალე-
ბის შემდეგ. პომეშჩიკის მამული გადაიქცა საშვილიშვილო
საკუთრებათ მხოლოდ მე-18 საუკუნის ბოლოს, ეკატერინე
მეორის ბრძანებით.

სამრაწველო და საგარეო სავაჭრო დარგები შეაღენდა
მთავრობის მონოპოლიას. პოკროგსკი სწერს: «რომანვების
პირველი მეფენი თავის მონოპოლიათ ხდიდენ ყველა ლირე-
ბულების სავაჭრო საგანს. მეფე პირველი ვაჭარია თავის სა-
მეფოში. სავაჭრო კაპიტალი ტრიალებდა მეფის და მისი
აგენტების ხელში. ესენი შეუხდუდავათ აწარმოებდენ ვაჭრო-
ბას მთელ სამეფოში». კლიუჩევსკის აზრით «სახელმწიფო არ
სცნობდა არავითარ კერძო ინტერესებს, კერძო ეკონომიკას,
ის თავის სრულ უფლებაში იროვებდა საზოგადოების მთელ
ძალას და შეძლებას და არ უტოვებდა კერძო პირთა და კლა-
სთა ინტერესებს არავითარ სარბიელს. ეს გადაყლაპვა კერძო
ინტერესების სახელმწიფოს მიერ გამოიხატა სახელმწიფო
მოვალეობათა განაწილებაში. პეტრემ დაამთავრა ეს განაწი-
ლება მისი ყველაზე გავრცელებით»*).

ყველა მოხაოვე მცხოვრებნა თავის თავს უწოდებდენ
მეფის ობლებს (სიროტამი გოსუდარევიმი), ხოლო მოსამსა-
ხურენი მეფის მონებს (ხალოპამი გოსუდარევიმი).

მთავრობა აწეს-რიგებდა არა მარტო ეკონომიკურ, პო-
ლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებას, არამედ ამასთანავე
ერთოდა ყველა წვრილებშიაც, იმაშიაც თუ ვის როგორ
უნდა ელოცა და სხ. 1660 წლის უქაშით ნაბდანებია: «ლოთის
უქმეებში და დიდ წმინდანების ღლებში ყველა ვალდებუ-
ლია გამოცხადეს ეკლესიაში და იქ იდგეს წყნარათ» (კლიუ-
ჩევსკი).

ერთისიტყვით, რუსეთში საუკუნეთა განმავლობაში ბა-
რონობდა მონარქიული იმპერატურა ადამიანზე და ნივთზე.
იწყება ამ წყობილების დაცვა თეორიულათ და გამოტანა ევ-
როპის წინაშე, როგორც უდიდესი მისაბაძი მაგალითი. ჩნდე-
ბა სლავიანოფილური მოძღვრება ბოლტინის მეთაურობით
(1735—1792). ის სწერდა: «მსჯელობა რუსეთზე ევროპის სა-
ხელმწიფოთა საზომით ნიშნავს შეუკეროთ ტანისამოსი გაზრ-

* იხ. კლიუჩევსკი: ისტორია სოსლოვიი ვ როსიი გვ. 210.

დილ კაცს თიგრის საზომით. რუსეთის: დაფასება ამნაირათ არ შეიძლება, რადგან ის არაფერმში არ წააგავს მათ». ხოლო ეკატერინე მეორე სწერდა დასავლეთის ერთ ლედელს: «დასა-ვლეთის ხალხები უნდა ბაძევდენ რუსეთს... დაბალი ხალხის მდგომარეობა რუსეთში არა თუ უარესია, ვინემ ევროპის ქვეყნებში, პირიქით უმრავლეს შემთხვევაში უკეთესი» და სხ. (პლეხანოვი), სლავიანოფილური პატრიოტული აზროვ-ნება შენდება ამ ძირითად დებულებაზე.

ამ ტოტალიტარული წყობილების და აზროვნების რყე-ვა იწყება მხოლოდ მე-19 საუკუნეში, განსაკუთრებით ალექ-სანდრე მეორის რეფორმებით. სლავიანოფილების გვერდით ჩრდილიან «ზაპატიკები» (დასავლეთელნი), სოციალისტები, ნილილისტები, ლიბერალები და სხვა დაჯგუფებანი. ეს იყო ახალი ინტელიგენციის გამოჩენა, საზოგადოების ზედაფენე-ბის ამონტავება, ხოლო ახალი კულტის ხამოყალიბება და სარ-ბიელზე გამოსხვლა არად არ სჩნავა. ბურგუაზია შეირცავდა მეტად ვიწრო წრეს, გართულს თავის პირად საქმეებში. მეფის მთავრობამ პირი იბრუნა დასავლეთისაკენ, მაგრამ წასულით შებოჭილმა ერმა ვერ წარმოშვა ახალი მამოძრავებელი კლა-სები. მხოლოდ მეოცე საუკუნეში ყალიბდება მუშათა კლასი. მაგრამ, როგორც ახალ ჩამოსული სოფულებიდან, ძველ სუ-ლისკვეთებას ვერ შორდებიან. ამით აისხება 1917 წ. დემო-კრატიული რევოლუციის დამარცხება და ტოტალიტარულ-ბოლ შევიკური რევოლუციის გამოწვევება.

ოქტომბერში ახალი რუსეთი დაუბრუნდა ძველს, შედგა მის გზაზე, მიიღო მეფეთა დიქტატურის ყველა პოლიტიკური და ეკონომიკური დირექტივები. გამოცხადდა ძველებურათ ერის მთელი სიძლიერის და მოსახლეობის სახელმწიფოს კუთხილებათ, რასც დაერქვა ახალი სახელი—კომუნიზმი. სახელმწიფო ყველაფერია, კერძო პირი არაფერი; მეფეთა აღ-გილი დაპირა ლენინმა და მისა მემკვიდრეებმა, ერთი დიქ-ტატურა შესცვალა მეორემ. იშვა საბჭოთა რეჟიმი, პიოწმინ-და ასლი ძველი რევიმის.

რასაკეირელია ამ ძველი წყობილების განახლება არ იყო ადვილი საქმე. საჭირო იყო შესაფერი ზომების მიღება. აქაც ძველ მეთოდს ვერ განშორდენ. მეფე ივანე მრისანემ მოწი-ნააღმდეგეთა ასალაგმავათ შექმნა საგანგებო პოლიცია და დაარქვა ოპრიჩინა. ლენინმა ამავე მიზნით შექმნა ასეთივე აპარატი და დაარქვა ჩეკა, დაიწყო საშინელი ტერორი ყველა არა ბოლშევიკურათ მოაზრეთა წინააღმდეგ. მეფეთა დიქტა-ტურამ სათათბიროთ დაარსა «ბოიართა დუმა», რომლის ყველა წევრს ნიშავდა დიქტატორი. ასეთივე დაწესებულება

შემოთხოვთ საბჭოთა დიქტატურაში და დაარქევა აპოლიტიკური». ძეველი რეჟიმი დროგამოშვებით იწვევდა სათათირო აერის ყრალობას — ზემსკიი სობორ, რომლის ყველა წევრები იყვნენ მთავრობის მიერ გაგზავნილი აგენტები და მართველები. არავინ გარეშე, მთავრობის დაუმტკიცებლათ, ამ ყრილობის წევრი ვერ იქნებოდა. სწორებ ასეთივე ორგანო შექმნა ახალმ მოსკოვმა სახელშოდებით «უმაღლესი საბჭო», რომლის წევრები მთავრობის მიერ წინასწარი დამტკიცებით და დასტუროთ ირჩევის საარჩევნო ყუთებთან ძალით მირეკილი ხალხის მიერ. სხვა კანდიდატების წამოყენება არ შეუძლია არავის, არავითარ პიროვნებას, პარტიის თუ ჯგუფს. ძეველათ რუსეთის მცხოვრებს არ ქონდა უფლება საზღვარგარეთ გასულიყო, რომ ამით, როგორც ბოლტინი სწერდა «ისინი არ დავითმყოფებულიყვნ მავნე ახალი ამბებით». ამ ანდერძს დღეს სასტრიქათ ასრულებს მოსკოვი. «რკინის ფარდა» ნაკარნახვია ბოლტინის მიერ, რაც არც ერთმა მთავრობამ არ შეასრულა გარდა ბოლშევიკებისა. იგივე სლავიანთულები ითხოვდნ სატახტო ქალაქათ ისევ მოსკოვი გამოცხადებულიყო ნაცვლათ პეტერბურგისა, რაც აშერულა მხოლოდ ბოლშევიკებმა; მათვე აღადგინეს ფულის ძეველ სახელშოდება — ჩერვონეცი. ერთისტუვით კომუნისტები სიტყვა-სიტყვით ასრულებნ ძეველი რუსეთის ანდერძს. მთავე მცნებას მისდევთ ახლა ბოლშევიკები საგარეო პლატფორმაში. ბოლტინი სწერდა: «დასავლების ხალხებმა უნდა წაბაძონ რუსეთს თუ ისინი გონიერი არიან და გადაკეთონ თავისი დაწესებულებანი». ამ ამ დებულების განსახორციელებლათ მუშაობს დღეს მოსკოვი ყველა სახელმწიფოში დიდის ენერგიით.

ძეველ აარატებთან ერთად ადგა ძველი სამუშაო მეთოდი, როგორც წინეთ ახლა ყველა მცხოვრები იძულებულია იმუშაოს მთავრობის ბრძანებით და გეგმით. სრულდება პეტრე დიდის ბრძანება: «ახალ საქმეს ჩვენი ხალხი არ გააქართების, თუ მას ძალა არ დაატანე». ცლიუზევსკი. მეტის ფაზისტები მუშაოდენ იძულებით გამოყვანილი მუშების მაჯით. ის, რაც დღეს რუსეთში ხდება ამ ხაზე სრული განმეორება, სრული წაბაძულობა ძეველი დესპოტიის სამოქმედო წესების. კიდევ, თუ პეტრე იძლეოდა, ასეთ დირექტივას, ახალი ფაბრიკების გასავითარებლათ, საბჭოებმა ახალს მიუმატეს ყველა ძველი სამრეწველო ცენტრები, ყველა ძველი სავჭრო და სააღმიცემო დაწესებულებანი. რაკი წინეთ ბურჟუაზია არ არსებობდა მეტეთა მთავრობა იჭერდა მის ადგილს, ისევეა ახლაც ბურჟუაზიის ადგილი

დაბჭირა საბჭოებმა და გახდა მუშა ხალხის ექსპლოატა-
 ტორი.

დასაცავებში ინდუსტრიალიზაცია ვითარდებოდა ბუნე-
 ბრივათ, მთელი ეკონომიკის განვითარებასთან ერთად. მუ-
 შები იღებდენ სამუშაოს ფაბრიკა-ზაოდებში თავისი ნებით
 და მოთანხმებით. რუსეთში კი ეგვეგ პროცესი მიმდინარეობს
 იძულებით, მათრახით, მუშათა მობილიზაციით და სავალ-
 დებულო ბევრით სამრეწველო მუშაობაში ჩაბმით. ცხადია,
 დლევანდელი კომუნისტური ინდუსტრიალიზაცია არ არის
 შედეგი ერის მოთხოვნილების, ეკონომიკის ბუნებრივით გა-
 ფართოვების, როგორც ეს არ იყო პეტრეს მეფობაში და ამ
 ბევრის გაუქმებით დავარდება ეს ხელოვნური, ბატონშვირი
 პროცესი. ბურჟუაზიის ადგილი დაბჭირა კომუნისტურ პარ-
 ტიამ, მაგრამ ამ როლს ის ასრულებს არა თანამედროვე კულ-
 ტურული მეთოდით, არამედ ძველისძველი ბარბაროსული
 ძალმომრეობით.

ცხადია საბჭოთა რეეიმი არ არის ახალი გამოგონება,
 პაერში გამოკიდული მოვლენა. ის მოდის რუსის ერის ცხო-
 ვრების სიღრმიდან, რუსის ხალხის თავისებური განვითარე-
 ბისაგან. ბოლშევკიებმა მხოლოდ ეს ძველი პროცესი კიდევ
 უფრო გამწვავეს, უმაღლეს უკიდურესობამდე მიიყვანეს,
 მისი სოფლის მეურნეობაზე გავრცელებით, გლეხებისთვის
 საკუთარი მიწის ჩამორთმევით და მათი კოლხოზებში ძალით
 შეყვანით, ეს ცვლილება მოხდა ლენინის შემდეგ, როგორც
 ლოლიკური დასკვნა დაწყებული ეკონომიური წყობილების.
 თუ წინეთ გლეხი ვალდებული იყო ხაზინისათვის ეძლია თა-
 ვის ნაშრომის უდიდესი ნაწილი, ახლა, პირიქით, ხაზინა აძ-
 ლევს გლეხს და მის ოჯახს მისვანევ დამუშავებული ნაყოფის
 ერთ მცირე ნაწილს, მსგავსათ პერუს სისტემისა, როგორა-
 თაც და რამდენიც მას მოეპრიანება. ამით დასრულდა მთელი
 ხალხის ყველა საშუალებით დაბმა და დამორჩილება სახელ-
 მწიფოს მიერ.

ამნაირათ, საბჭოთა წყობილება არის სრული განმეორე-
 ბა ძველი რუსეთის ეკონომიური და პოლიტიკური რეეიმის,
 მისი კიდევ უფრო გამწვავებით და უკიდურესობამდე მიყვა-
 ნით. ეს რუსეთის ისტორიული გზის გაგრძელებაა, მე-19 საუ-
 კუნეში შერყეული ხაზის გამოსწორება, ევროპისაგან მყარ-
 რათ გამოყოფა და თავის ორიგინალურ საფუძველზე გამა-
 გრებაა.

ახალია მხოლოდ ერთი: საბჭოთა მოსკოვმა ეს თავისი
 წმინდა რუსული წყობა გაავრცელა არა-რუსის ერებზე, რო-
 მელნიც მისებური გზით არ განვითარებულან, დანარჩენი კა-

ცოპრიობის გზა-კვალს არ მოშორებიან. რუსეთის ტოტა-ლიტარულ სამეფოში მუდამ შედიოდენ მხოლოდ რუსები მე-19 საუკუნეში. არა-რუსების დაპყრობა და შემოერთება იწყება მას შემდეგ, რაც რუსეთმა პირი იბრუნა დასავლეთი-საკენ. მაგრამ როგორც კი ის ამ ახალი გზიდან გადადგა და ძველი რეჟიმი აღადგინა ოქტომბრის რევოლუციით, ეს შე-ერთებული არა-რუსის ერები გამოვყენ, საკუთარი დამოუ-კიდებელი სახელმწიფონი აღადგინეს და დაწყებული ევ-რობიული გზა გააგრძელეს (უკრაინა, კავკასია, ბალტიკა და სხ.). ამჟამათ ყველა ეს ხალხები იარაღით დაპყრობი-ლია მოსკოვის მიერ და რუსული რეჟიმი მათწე გავრცელე-ბულია.

ყველა ტოტალიტარული სახელმწიფო, ძველი და ახა-ლი, მსოფლიოში დაინგრა. დარჩა დაუნგრეველი ერთად ერთი რუსეთი. ამით შექმნილია დღეს ცივილიზაციის თანი მოპირდაპირე ხაზი, რომელთაც ერთიმეორის გვერდით არსებობა არ ძალუსთ და ადრე თუ გვიან ერთ-ერთმა უნ-და გაიმარჯვოს. ან რუსეთი უნდა გაეგრძიელდეს, ან ევ-რობა გარუსდეს. ამ დილემის წინაშე დგას დღეს კაცო-ბრიობა.

აქედან არის ერთი მშეიღობიანი გამოსავალი: საბჭოთა რეჟიმის შეცვლა შინაური რეფორმებით და მით მისი მსოფ-ლით ოჯახში ჩადგომა, ზოგი თავისი საკუთარი თვისებების შენახვით. ეს ჩადგომა ყერ იქნება დასავლეთის გზის პირ-წმინდა განმეორებით—ბურუჟაზიის აღდგენით, მემამულეთა დაბრუნებით. საბჭოთა მთელი სხვილი საკუთრება რჩება სა-ხელმწიფოს, მაგრამ არა დიქტატურულს, არამედ ხალხის და ერის სუვერენიტეტის შეთაურობით, ნამდვილი სახალხო დემო-კრატიის შემთხვებით. სხვილი საკუთრება ერს, წერილი სა-კუთრება კერძო პირთ და მათი დაკავშირება—აი რა მოგვცემს ახალ წყობას, ერთდაიმავე დროს ეკრობიულს და ნაციონა-ლურს. აი ეს ცვლილება გამოიყანს საბჭოთა იმპერიას დღე-ვანდელი განწირული ჩიხიდან. თავისუფლება ერში, თავისუ-ფლება ერთა შორის—ეს დღეს აღიარებული საერთაშორისო ურთიერთობის საფუძვლათ უნდა იქნას გავრცელებული საბ-ჭოთა იმპერიასთვის. ამ ბაზაზე ის როგორ გადაეწყობა—ეს იქნება მისი შინაური საქმე, მისი შემადგენელ ერთა მოლაპა-რაკებით და შეთანხმებით.

ნ. უღრღდანია.

19.3.47.

ჩა ხდება ბალყავთში.

უკვე ოთხ წელს გადასცილდა, რაც მეორე მსოფლიო ომის საბრძოლო მოქმედებანი შეწყდა. მიუხედავათ ამისა, პოლიტიკური ბრძოლა ომში მონაწილეთა შორის არამც თუ არ განელდა, პირიქით, უფრო გამწვავდა და მიაღწია ისტორიის რულიად უცნობ საფეხურს და სახეს.

მძაფირი პოლიტიკური ბრძოლა ყოფილ მოკავშირთა შორის სწარმოებს ეკრანის და აზის ყველა კუთხეში, მაგრამ უფრო ხანგრძლივი და მწვავე სახე მიიღო მან ბალყანეთში.

დაიწყო ეს საბერძნეთის შინაგანი ბრძოლით. საბერძნეთის კომუნისტური ელემენტები გადავიდენ ლია ბრძოლაზე იქ ასეებულ წყობილების წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში ჩარია რუსეთი, რომელიც იმ დროს უშუალოთ ბატონობდა მთელ ჩრდილოეთ ბალყანეთში. საბერძნეთის შინაგან მოვლენებში მან ჩარია ბალყანეთის დანარჩენი სახელმწიფონი და მათი საშვალებით ცდილობდა და ცდილობს ჩრდილოეთ-საბერძნეთში თავის სასურველ მდგრადარების დამყარებას.

ამ ჩარევის გამო საბერძნეთის შინაგან ბრძოლამ მიიღო ქრონიკული ხასიათი და გაგრძელდა თითქმის ოთხ წელზე მეტი.

თვით საბერძნეთის შინაგანი ბრძოლა უკვე ჩაიფერტოლა და ამოქრა, მაგრამ ბალყანეთს დღემდის ეკრ მოსცილდა ფარული პოლიტიკური თამაში და ჯერ კიდევ ეკრ დაწყარდა.

რაშია საქმე და რამდენათ შეეხება ეს პოლიტიკური თამაში მის პირველ უშუალო მსხვერპლთ—ბალყანეთის პატარა სახელმწიფოებს?

ბალყანეთის მოვლენები პირდაპირ ერთვიან და წარმოადგენ მსოფლიოს დღევანდველი პოლიტიკური მდგრადების უშუალო შედეგს.

დღეს თუიცალური მსოფლიო გაყოფილია ორ მოწინააღმდეგე ბანაკათ.

ერთ მხარეზე დგას რუსეთის ეროვნული ბანაკი, რომელიც, დამონავებულ ერების შემადგენლობით, გადაჭიმაწყნარ იყეანედან დღინარების და

მეორე მხარეზე დგას დანარჩენი კაცობრიობა, რომელიც ცდილობს თავის თავის სუფლების შერჩენას და მის და-

ცვას აყრდნობს ანგლო-საქსონელ სახელმწიფოთა ძალებზე. რუსეთის აგრძელიობამ კაცობრიობის ეს ნაწილი ძალაუნებულათ მეორე ბანაკათ აქცია.

ამ თარ ბანაკთა შორის შეხლა აუცილებელი გახდა. სამხედრო მეცნიერების თანახმათ, ყველაგვარ შეხლას ყველა სახელმწიფო ამზადებს იმ პოლიტიკურ მდგრადარეობის ჩარჩოებში, რომელიც არსებობს ამ მდგრადარეობის განხილვის მომენტში.

და აი აქ უახლოვდებით ბალკანეთის დღევანდველ მოვლენათა გახალებს. როგორ ეწყობა რუსეთისთვის მსოფლიოს დღევანდველ პოლიტიკურ მდგრადარეობის სამხედრო ელემენტებზე გადათარგმნა და გადათვლა....

სანამ ომის სარჩევლზე დასავლეთის ძლიერებათა მთავარი ძალები გამოვლენ, რუსეთისთვის აუცილებელია რომ მიაღწიოს შემდევ სამხედრო შედეგებს:

1. მივიდეს სპარსეთის ყურემდის;
2. მივიდეს ალექსანდრეტის ყურემდის;
3. დაიკავოს ბოსფორის და დარდანელის ნაპირები და ჩაკეტის მოწინააღმდეგისათვის შემოსავალი შავზღვაზე.

აღნიშნულ მიზნების მიღწევა რუსეთს შემდეგ წარმატებას შეუქმნიდა:

1. ხელში ჩაიგდებს აღმოსავლეთის ნახევარ სფეროს—უდიდეს წყაროებს ნავთისას;
2. გზას გაიხსნის ინდოეთის დასავლეთ საზღვრებისაკენ;
3. გზას გაიხსნის სუეცის არხისაკენ.

ამ წარმატებებს ეცდებოდა ზედ დაუმატოს დასავლეთ ევროპის მრეწველობა და დანარჩენ სივრცეთა ცოცხალი მასები.

ჩამოთვლილ მიზნების მისაღწევათ რუსეთისთვის აუცილებელია მოქმედებათა უდიდესი სიჩქარე ომის დასაწყისში და უაღრესი გამოყენება თითქმის ყოველი დღისა.

მთელ ამ შესაძლებლობას ადევს ერთი კლიტე და რევს მის გამოთვლას. ესაა ოსმალეთი.

ოსმალეთი რუსეთზე ბევრათ პატარა სახელმწიფოა. მიუხედავათ ამისა დღეს მისი შეიარაღებული ძალები როგორც რიცხვით, ისე ლიტერატურით, ბევრით მაღლა დგას, ვიდრე რომელიმე რუსეთის გარეშე მდგრამ სახელმწიფოს შეიარაღებული ძალები. გარდა ამისა ოსმალეთი თავის სტრუქტურით ერთათ-ერთი სახელმწიფოა, რომელიც არას შემთხვევაში არ გაყვება რუსეთის კომბინაციებს და მას უაღრეს წინააღმდეგობას გაუწევს.

აქედან იბადება გარკვეული ამოცანა რუსეთისათვის,

సాక్షేపందరం: ఒసమాల్యంతిస డాక్యురంబా నమిస డాసాచ్చిసిశ్విగ్, రాప్ కి శ్వోండ్రో మాల్య దా రూతాప్ అల్ శ్నో దాశ్జఫ్రోస.

ఒసమాల్యంతిస వ్హినొంధమంఫ్రో ర్ష్వస్యెతస నురొ ఫ్రంస్ట్రోస అమంద్రాంగ్రో శ్వేండ్లోస—కాగ్వాసిసిస దా బాల్కాన్యేతిస.

కాగ్వాసిసిస ఫ్రంస్ట్రోస భున్యేదిస త్విస్యేధాతా వ్హింధంబిత దా-
లొంస అఫ్రిండాత శ్వోండ్రో బ్రండోల్లిస గాశాంగ్రంధ్లోిష్యోస. లిండి
మంఫ్రో దా బాశాంగ్రంధ్లోిగ్ త్వంలొంసి శామితారొ శ్వేండ్లోధ్రో ల్ఫిస
టంగ్వాంధ్రోల ట్రేంసిక్స్రో నారొల్తా మించాంశ్వీంబొల్ దా మాసిఉర
గామ్ప్యేన్యోబాస.

శ్వేండ్రోస అసాక్షీంధ్రోబంత ర్హీబా బాల్కాన్యేతిస ఫ్రంస్ట్రో.
ఫ్రాకొసిస వ్యోల్పోబశ్చ్, ఇం, సాఫాప్ లిండ్స వ్హింధో ర్ష్వస్యెతిస మయ్లం-
ంబ్లోలంబా, ర్ష్వస్యెతిస రామండ్రోంజ్యోర్మో గాశ్ఫో నిశ్చల్యోబ్శులి నమి శ్వే-
ప్యోగోబ్రో, మాగ్రామ ఇం నమి మాస అంస ఫరొస అల్ దాశ్చింధ్యో.< లిండ్స
స్స తింర్వ్యోలి శ్వేమతశ్వేగ్గోస.

బొంగార్యుతిస సాక్షేప్లోబిదాన, రంమ్యోలిప్ లిండ్స వ్హాక్లీంశ్-
రొం ర్ష్వస్యెతిస మయ్లంబ్లోలిస శ్లోఫ్స వ్హాంమాంధ్యోస, బొ-
ంగార్యుతిస దా డారొంధ్యోలిస. నాపింధోబామిసి మింపొంప ఏరొతి గాధా-
సాగాల్లిస.

బాల్కాన్యేతిస సాక్షేప్లోబిప్పోతా సాక్షేప్లోబిస నిస్యేత మించాంశ్-
ల్యుబాశ్చ, రంగంంచ్చ స్స గామంపొంప్రోబండా ట్రింస ర్ష్వస్యెతిసా-
ంఫ్రో ఏరొత్యుల్యుబిస కొనొశ్చి, ర్ష్వస్యెతిస మింజ్మేధ్యోబాస సర్పుర్యోబిస
వ్హినొంధమంఫ్రో ఏరొతి సింపొల్ప్ శ్వేంబ్రోబండా.

ఇస అంసి సాల్మణోబిస రాంపొంసి. ఏజ్యోబం కిరొంలొంయెతిస్క్యోగ్
మింపొస అంస క్యోబా, రంమ్యోలిప్ శ్వేండ్రో శ్వేఫిస. బొంగార్యోతిశ్చ
జ్ సింపొస రాంపొంశ్చ, సాక్షేప్లోబం మించాంశ్చ సర్పుర్మిపొస దా
గాంగారొస వ్యోల్పోబి. ఏజ్యోబం మింపొంప శ్వేశా బొంగార్యోతిశ్చ
ఓస శ్వేఫిస శ్వేప్పోబి ప్పోగ్గోలా నిమ కాల్సాస, రంమ్యోలిప్ బొంగార్యోతి-
ంబాస సర్పుర్యోబిస శ్వేగ్గోస.

అస్యెతిస మింజ్మేధ్యోబా స్యుల నీరింప్రో మాలామ శ్వేంహాంధ్రోబ్శుల
ఏరొత్యులిస ఏక్షేర్యోబస ప్పోగ్గోల్యోగాశ మింజ్మేధ్యోబాస ఒసమాల్యంతిస వ్హి-
నొంధమంఫ్రో దా అంధ్లోబి మాస సాశ్చాల్యోబాస గామ్లంబి మింక్యోబింగ్తా
మింగాంశ కాల్యోబిస మింపొల్లామింబిస.

ఇస సింపొల్ప్ ప్పుమ, రంమ్యోలిప్ సాశ్చుబ్ంధోబిత ర్ష్వస్యెతిస ఒప్-
ింబిస గాంకొంపొల్పోబస శ్వేంబ్రోబండా దా నిమ ప్పోగ్గోల్యోగ్గోర్స ఏజ్-
టోబిస మించాంశ్చార శ్వేఫిస కింగాగ్లోబోబాత. ఏజ్ సాధేర్మోబితిస శ్వే-
నొగానొ శ్వేప్పోబిల్లోబా మింపొంప మేంపొ కాంపొసింగ్ సాగా-
ణొ ప్పుమ.

మాగ్రామ లిండ్స ట్రింస మింగ్ అప్పాంగ్యోబ్శుల ప్పోంపొం ర్ష్వస్యె-
తిస అంగారొశ్చోబి తింపొమిస స్యుల గాధాశ్చస కాశ్చి.

ఇస, వ్హిన్చ్ బొసపొరిస రాంపొంస శ్వేప్ప్ బొంగార్యోతిసాన,
ప్పుసాత్యుంప శ్నోబా బాంపొనంబిప్రో మింపొ కిరొంలొంయెత బాల్కాన్యేత-
శ్చి. బాల్కాన్యేతశ్చ బాంపొనంబా క్రి ఇస క్యోలి స్యేరొబిస ట్రేరొంప-

რის დაკავებაა. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ მტერი გამოჩნდა სკოპლე-ნიშის რაიონში, რუსეთმა უბრძოლველათ უნდა დატოვოს მთელი სივრცე მდინარე დუნაის სამხრეთით.

მაგრამ მარტო ამით არ განისაზღვრება იუგოსლავის სტრატეგიული მნიშვნელობა.

იუგოსლავის ჩრდილოეთ საზღვრებიდან იწყება უნგრეთის უშველებელი ვაკეები, რაც იდეალურ სარბიელს წარმოადგენს ჯავშნოსან იარაღის სთვის. ეს სივრცე სამხრეთიდან ემუქრება რუსეთის ყოველგვარ მოქმედებას ცენტრალურ ევროპისაკენ.

იუგოსლავის დღვენადელი პოზიცია ათავებს რუსეთისათვის იმ ხელსაყრდნობის პოლიტიკურ კონიუნქტურას, რომელიც მის ერთათ-ერთ წარმატებას წარმოადგენდა და უტოვებდა თითქმის 20 თვეს თავისუფალ თარეშობის მთელ ევროპაში და აზიაში.

რუსეთი ცდილობს თავის მომავალ სამხედრო მოქმედების განმტკიცებას და მომარჯვებას მშეიღობიან, არა ოფიციალურ ბრძოლის სახით. ეს არის უდიდესი და უაღრესი სამხედრო გათამაშება, რომლის დაფარვა ჯერ კიდევ შეიძლება ყალბ შეიღობინა პოლიტიკურ ნიღაბ ქვეშ.

მაშინ რისთვის ერიდება რუსეთი უშუალო კვეთებას ტიტოს წინააღმდეგ?

უკიდურეს შემთხვევაში, ალბათ, ამას არ მოერიდება. მაგრამ სრულიად ლოლიკურია, რუსეთმა ყველა საშუალება ამოწუროს, რომ აფიციალური ომი ოსმალეთის საზღვრებზე დაიწყოს და ყოველ საშუალებით უზრუნველყოს ისეთი მოქმედება, რაც შეიძლება მალე გაიყვანოს ოსმალეთი მოწინააღმდევთა ხაზიდგან.

თუ ომი ტიტოსთან ბრძოლით დაიწყო, ეს უკვე საქმეს მთელ ერთი ეტაპით აგვიანებს. მაშინ რმის მთელი პირველი ხანა ბალკანეთის დაპყრობას უნდა მოუნდეს და ამ მიზნისთვის შუაეგრძნობის მოქმედებაც სათანადოთ უნდა დაგენანტეს.

ამ შემთხვევაში ის თავისუფალი დრო რმის პირველ ხანაში, რომელიც რუსეთის ერთათ-ერთ წარმატებას წარმოადგენდა, უკვე სცილდება რუსეთის საანგარიშო საზღვრებს.

უაბლოესი მომავალი გამოარკვევს სადამდე ეყოფა რუსეთს ნერვები და რა მომენტში აიღებს ხელს უმაღლეს საფეხურის გათამაშებაზე—ეს იქნება ის მოქმენტი, როცა იგი ტიტოს ეკვეთება. ეს მოქმენტი კი გამოარკვევს იმას, თუ რის იმედი უფრო აქვს რუსეთს: უბრალო კონიუნქტურის, თუ მართალი ძლიერების.

ვ. ნა—ლი.

కొనె బెడ్జి ఇంట్రోడక్షన్!

అమెరికా వార్లు బెడ్జి కొనె బెడ్జి ఇంట్రోడక్షన్ ను వ్యవహరించి ఉన్న సాధనాలలో ఒకటి. ఇది అమెరికా వార్లు బెడ్జి ఇంట్రోడక్షన్ ను వ్యవహరించి ఉన్న సాధనాలలో ఒకటి. ఇది అమెరికా వార్లు బెడ్జి ఇంట్రోడక్షన్ ను వ్యవహరించి ఉన్న సాధనాలలో ఒకటి.

మాను శ్రేష్ఠులు దుర్గమంగా ఉన్న సాధనాలలో ఒకటి. ఇది అమెరికా వార్లు బెడ్జి ఇంట్రోడక్షన్ ను వ్యవహరించి ఉన్న సాధనాలలో ఒకటి.

ఖరు కొనె బెడ్జి ఇంట్రోడక్షన్ ను వ్యవహరించి ఉన్న సాధనాలలో ఒకటి. ఇది అమెరికా వార్లు బెడ్జి ఇంట్రోడక్షన్ ను వ్యవహరించి ఉన్న సాధనాలలో ఒకటి.

ఇది అమెరికా వార్లు బెడ్జి ఇంట్రోడక్షన్ ను వ్యవహరించి ఉన్న సాధనాలలో ఒకటి. ఇది అమెరికా వార్లు బెడ్జి ఇంట్రోడక్షన్ ను వ్యవహరించి ఉన్న సాధనాలలో ఒకటి.

ఇది అమెరికా వార్లు బెడ్జి ఇంట్రోడక్షన్ ను వ్యవహరించి ఉన్న సాధనాలలో ఒకటి. ఇది అమెరికా వార్లు బెడ్జి ఇంట్రోడక్షన్ ను వ్యవహరించి ఉన్న సాధనాలలో ఒకటి.

ఇది అమెరికా వార్లు బెడ్జి ఇంట్రోడక్షన్ ను వ్యవహరించి ఉన్న సాధనాలలో ఒకటి.

ఇది అమెరికా వార్లు బెడ్జి ఇంట్రోడక్షన్ ను వ్యవహరించి ఉన్న సాధనాలలో ఒకటి.

სახელმწიფოს მოსკოვის პირველ ხანებში თელილი მეგობრო-
 ბით შეხვდენ...

როგორც მოსალოდნელი იყო ახალ წესებმა დიდი და
 ძლიერი უკმაყოფილება დაბადა, არა მარტო ფართე მასებში,
 არამედ მართველ წრეებშიც. გახშირდა ურჩითა გადაყენება
 და მოლალატეებათ ერთგულთა გამოყხადება. უნგრეთის გა-
 მოჩენილი კომუნისტი, შინაგან საქმეთა მინისტრი, მსხვერპ-
 ლათ შეეწირა. პოლიტიკურ ასპარეზიდან. ბოლგარიაში, რუმინიაში,
 ჩეხო-სლოვაკიაში უკმაყოფილების ტალღები ზეირთდებიან.
 ბრძოლა ჩუმი და შეუცოვარი გრძლდება...

მოსკოვმა დახელვნებულ საპროპაგნდო მნექანის ამუ-
 შავებით უპასუხა და ქვეყნიერებას დაჯერება დაუწყო ე.წ.
 «სახალხო დემოკრატიის» აყვავების და იქ მშრომელ მასების
 «გადენიორების» შესახებ. მაგრამ, პირიქით, ამ ქვეყნებიდან
 ლტოლვილთა ტალღების დენა სრულიად წინამდებარებული დები-
 ცების და იქაურ ყოფა-ცხოვრების ნამდვილ ვითარებას ააშკა-
 რავებს. თუ მოსკოვი საქართველოს და მის საზღვრებში მო-
 ქცეულ ერთა პოლიტიკურ დამონებას ადვილათ მაღავდა,
 დღეს. პირიქით, მის საზღვრებში მდებარე ქვეყნების გეო-
 პოლიტიკური მდგრადებელი ისეთია, რომ იქაური ცხოვრე-
 ბის ყოველდღიური მიმღინარება ელვის სისტრატიკ ედგება
 მთელს კაცობრიობას და იქ გამეფებული წესები სწორ და
 შესაფერ დაფასებას პოულობს; დასავლეთ სახელმწიფოთა
 პოლიტიკურ მიმართებას სიცხილის და სიმტკიცის ხასიათს
 აძლევს და მათ არ შეუძლიათ გულტივათ მიიღონ მათი ინ-
 ტერესების ამ ქვეყნებში გაბახება და იქიდან მათი გაძევება.

ყველაზე უფრო დამახასიათებელი ვითარება შეიქნა იუ-
 გოსლავიასა და მოსკოვს შორის; მოსკოვს გადაუდგა მის
 მიერ ალზრდილი ტიტო. იქ ხომ კომუნისტური მთავრობაა. მაგრამ მიზეზი ამ აჯანყების, გუშინდელ მფარველის მიმართ,
 არ მდგრმარეობს მარტო ტიტოს პირად ურჩიბაში; ის უფ-
 რო ლრმა და სერიოზული. საბჭოთა რუსეთი ემუქრება თვით
 იუგოსლავის სუვერენულ უფლებებს, სურს მისი სრული
 დამორჩილება, ის კმაყოფილდება მარტო თავის პოლიტი-
 კურ სფეროში მოქცევით. სერბიელ გლეხობისთვის შეიძლე-
 ბა ტიტოს მართველობაც არ იყენეს დიდათ მისალები, მაგრამ
 იგი მისი ნაციონალური მთავრობაა და მისი დამხობით ქვე-
 ყანას მოელის დამოუკიდებლობის დაკარგვა და ეროვნული
 ჩაგვრა. ამ შეგნების შედეგათ აისხება, მოსკოვის ცდების
 უშედეგოთ დამთავრებება—ამ ქვეყნის შიგნიდან ასაფეოქებ-
 ლათ. მოსკოვმა ახლა ბრძოლა საგარეო ფრონტზე გადაიტანა

მუქარით და დაშინების ნოტებით, რომ იუგოსლავია გარიყოს საგარე ასპარეზიდან. მაგრამ ის აქ დამარცხდა და ტიტოს მთავრობის წარმომადგენელი, რუსეთის სურვილის წინააღმდეგ, არჩეულ იქნა ერთა კავშირის უშიშროების კომისიის წევრათ...

საბჭოთა რუსეთმა მისდა უნებურათ შექმნა დაჩაგრულ ერთა ბუნებრივი ფრონტი, გაიზარდა მსხვერპლთა რიცხვი, გაძლიერდა ბრძოლა საკუთარ ქვეყნის უფლებათა აღსადგენა და იქ სამართლიან წყობილების დასამყარებლათ. მათი ამოძრავება და ჯანყი მოსკოვის წინაამდეგ მხნეობას და გამდლებას მატებს რუსეთის შიგნით მოქცეულ პატარა ერებს და აასლოვებს მათ თავისუფლების მოპოვებას.

ა.

ძ რ მ ნ ი პ ა.

მიმდინარე წლის 25 აგვისტოს სოშის ქართველთა კოლონიის არაჩეულებრივი კრება შესდგა. კრებამ აირჩია კოლონიის ახალი გამგეობა. გამგეობის წევრებმა არჩეული არიან: ი. აბულაძე, გრ. კვარცხავა და ვლ. წერეთელი.

სოშის ქართველთა კოლონიის კულტურულ სექციის დავალებით დ. ქიმერიძე და ვ. წერეთელი სთხოვენ ქართველ საზოგადოებას, რომ ომის დროს დალუპულ წიგნთაცავ-სამკითხველოს აღდგენაში დაეხმარონ და გაუგზავნონ ქართული წიგნები, უკრნალ-გაზეთები სამკითხველოსათვეს.

მიმდინარე წლის 30 ივლისს მიუნპენის ქართველთა კოლონიის წევრთა წლიური კრება შესდგა; მოისმინა კოლონიის გამგეობის თავმჯდომარის ბ. ალ. კორძაიას მოხსენება გამგეობის მუშაობის შესახებ; ბ. კორძაიას ნაყოფიერი მუშაობისათვის გამოეცხადა მაღლობა. კრებამ აგრძელებს სარევიზო კომისიის ანგარიში დამტკიცა. ამის შემდეგ აირჩია გამგეობა და მისი ორგანოები. კოლონიის გამგეობის თავმჯდომარეთ ერთხმათ აირჩია ბ. ალ. კორძაია; წევრებათ: ბ. ბ. ივ. ანტონიქაშვილი და გ. მალაკელიძე; სარევიზო კომისიის წევრებათ აირჩიეს: ბ. ბ. შ. მარგველაშვილი, ივ. ახმეტელი და გ. კობახიძე; საზოგადო ლირსების სასამართლოს წევრებათ აირჩიეს ბ. ბ. გრ. ავალიანი, გ. გაბლიანი და სხვ.

შიუნპენის ესტონელთა კომიტეტის დარბაზში 20 აგვისტოს ბ-ნ მინდია ლაშაურმა წაიკითხა, ჯერ გამოუქვეყნებელ თავისი შრომის—«მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის წინასწარმეტყველურა აზრები»-დან, ერთი თავი—«ქართული სული». მოხსენება დაწერილია პოეტური ენით და თავისებური სტილით. მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რაშიაც მონაწილეობა მიიღეს ახალ ემიგრანტებმა: ბ.ბ. ბარათელმა, კ. ინასარიძემ, გ. კობახიძემ და სხვებმა. დამსწრეთა შორის ბ.ბ. მოსე იმნაიშვილმა, დავ. ვაჩნაძემ, ალ. ცომაიამ, ალ. კორაძიამ თავიანთ სიტყვაში ალნიშნეს მოხსენების მფიდარი შინაარსი და მშენებელი ქართული ენა. კამათის მონაწილეებმა ბ-ნ მომხსენებელს უსურვეს ნაყოფიერი მუშაობა და სოხოვეს შემდევი თავების წაკითხვაც.

ამ მოხსენებით შიუნპენის ქართველთა კოლონიასთან საფუძველი ჩაეყარა კულტურულ სექციას, რომლის ერთ-ერთი ინიციატორთაგანი არის ბ. დავ. ვაჩნაძე.

ჩვენს რედაქციას სპარსეთიდან ჯემშიტი სწერს:

«აღფრთვანებით ვესალმებით ჩვენი დიდი ხნის ნაცად დროშიას და ვუსურვებთ მას გამარჯვებას მომავალ ბრძოლებში.

ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც ჩვენმა დროშიამ დიდი როლი ითამაშა ჩვენი ერის ცხოვრებაში და ჩვენ პარტიაში. სრული დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი მებაირახტენი ამ დიდისნიდან დაწყებულ ბროლას დაავირგვინებენ სრული გამარჯვებით. ამ დროშიაში გარკვეულია ჩვენი მომავალი გზა. ამ გზას არ გადავუხვევთ, ვინაიდან ეს გზა სწორია. ამ გზით ჩვენ დიდი მიღწევები გვქონდა—ჩვენმა ერმა მოიპოვა დამოუკიდებლობა, მაგრამ არ დაგვაცალა გარეშე ძალამ რომ მოგვეწყო ჩვენი ცხოვრება. სრული იმედი გვაქვს, დაფეხბა დრო გამარჯვების და კვლავ აფრიალდება ჩვენი დროშა საყვარელ სამშობლოში.

ამასთანავე გაახლებთ სპარსეთის ქართველებისაგან დამარტინის თას დოლარს.

Շախմահիմ «ԷՅՋԵՆ ՇԱԽՄԱ»-ն.


Հյութայլուամ մոռլու քաեմարյեծ: ամե. ոռևյօթ յլուց շաղուացան եշտուատասու գրանցո, ամե. յրյություն համությունուսացան ացսկրուուս յարտցըլու Շուրու Շեցրուցուու ռուատասուտես-ուցո գրանց. աթաստանց սութու ամեանց. դա տանմցրմեռտա-ցան: օ. սալույցածու, թ. յբյությունուուս, ո. նշուցունուուս, տոտու-ցըլուան եշտաս-եշտասու գրանցո, յարտցըլու ձարկրուուուս. ց. կարպեցան, ց. յոմյունուուս, ոչ. ածուլուուս, ց. ածուլուուս, ց. կալ. ֆյուրյութուուս, տոտուցըլուան ռուս ռուսու գրանցո, ց. յբյությունուուս, ոչուու յմցեցան, թ. գարլիս-Շալուուս, ցալ. սալույցածու, լ. սալույցածու. տոտուցըլուան աս-ասու գրանցո, ց. անեշլարուու, ց. սալույցածու, ցար. սալու-ցածու. տոտուցըլուան ռումուցատ-ռումուցատու գրանցո, սկահսետուան ռուն գուլարու դա ամերիկուուն ռուն գուլարու. սյուլ 10 870 գրանցու դա յյեցու գուլարու »).

Հյութայլուամ մագլուաս յպեացըծ քասանցըծ յուցուացըծ ամեանցըծ դա տանմցրմեռտ քաեմա-րյեծուսացուու Շեմցըցու նոմիուս յամուսայըմատ.

ՑԱՑՈՒՑԵՑՈՂՈՒԹԱ ՇԱՑԿՈՎԵՑՈՒԹՈՒ.

Մանասկեցն եանցըծու գանձեցուու բոյ յուրժանուս ֆուն սաւաշուուտ—«աթալու նաֆյուրյուն», համուա մուտացեցնուուու Շեմ-ցըցու ֆյուրյունուու 1. հյունու ցին, 2. գույս, եցալ, 3. յբյությա գալուուուուն, 4. աթասույթյունուու, 5. հա եցեծ մուռուուուն, 6. Շուտա հշտացըլուու դա յլուցնուու յուլուսուուցնուու ֆյունուուուն. ֆունու ուրիս յագաւուցնուուտ 200 գրանց. ցամունիրա Շեմունյուն ամերիկան «Բայց» և հյութայլուուն.

*) քաեմարյեծու յս անցարուու յագուուունուուս յամու «Բայց» գրանցաւս» և մյուսամյու նոմյուրուու յըր յամուցաւու. հյութ.



Պատճենագույն գալուու դա գանձեցուու մասալուու յնթա յամուցնուունուու Շեմ-ցըցու մուսամարտու:

P. Sardjveladzé.

35, rue de l'Aude 35.

Paris (14)

Le Gérant: M. Stouroua.

Imprimerie Coopérative Arpajonaise, Arpajon.